ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭო
საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპ. ოლის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

პარასკევი, 16 იანვარი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 13 (1168)

დ ღ ი უ რ ი

— გენერალი პრიმა-დე-რივერა მაროკოდან ესპანეთში ბრუნდება.
— ტოკიოში პოლიციამ აღმოაჩინა შეთქმულება იაპონიის პრემიერის წინააღმდეგ.
— ნორვეგიას მეშენი გაფიცვა იმუქრება.
— დამთავრდა მოკავშირეთა ფინანსიური კონფერენცია.
— ამერიკამ ლონდონში ახალი ელჩი დანიშნა.
— ბერლინის ელექტრო-სადგურში აფეთქება მოხდა. ნახევარი ბერლინი ბნელშია.

ლენინის გზით

(ტელეგრაფით სპეციალურად „კომუნისტი"-სათვის)

ამჟამად მიმდინარეობს მასწავლებელთა პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა. მასში მონაწილეობას იღებენ საქართველოს მასწავლებელნიც. ამ ყრილობას აქვს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა. მასზე ხდება მასწავლებლობის და საბჭოთა ხელისუფლების დაკავშირება. აქ მასწავლებლობა აცხადებს, რომ ის მზად არის იმუშაოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ამ ყრილობას დასტრიალებს ამხ. ლენინის აზრი. ის ბევრს ფიქრობდა სახ. განათლების საკითხებზე, აძლევდა რა მათ უდიდეს მნიშვნელობას. რომ შევაგროვოთ მისი სიტყვები და წერილები, სადაც ის ლაპარაკობს სახალხო განათლებაზე, მივიღებთ ნათელ სურათს, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ ამ დარგში. საბჭოთა ხელისუფლებას, მასწავლებლობას, ახ. კომკავშირს და ნორჩ პიონერებსაც კი მტკიცედ სურთ იმუშაონ ილიჩის ანდერძის მიხედვით. ეს თავდებაა იმის, რომ სახალხო განათლების დარგში ჩვენ მივაღწევთ აუცილებელ წარმატებებს, საქმით განვახორციელებთ იმ კულტურულ რევოლიუციას, რომლის შესახებაც სწერდა ამხ. ლენინი.

ნადეჟდა კრუპსკაია.

მოსკოვი, 15 იანვარი.

მუშათა ორგანიზაციების როლი შრომის ნაყოფიერების ზრდაში

რაც უფრო მეტს ამზადებს სახელმწიფო მრეწველობა საქონელს, მით უფრო მეტი საშუალება აქვს მას გაადიდოს მუშების შრომის ხელფასი. რაც უფრო იაფია საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის საქონელი, მით უფრო ჩქარა იზრდება მუშების მატერიალური მდგომარეობის დონე. ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვლილ პერიოდში ჩვენი მრეწველობის სამეურნეო წარმატებას თან სდევდა მუშების შრომის ხელფასის გადიდება; შრომის ხელფასი ამჟამად საშუალოთ უდრის ომის წინა ხანების ხელფასის 70—75 პროც., შრომის ნაყოფიერება კი შეადგენს ომის წინა ხანების ნაყოფიერების 50—55 პროცენტს. მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების გადიდების გარეშე შეუძლებელია შრომის ხელფასის ზრდა.

შრომის ნაყოფიერების გადიდება უნდა მიდიოდეს ორი მიმართულებით: 1) თვითონ მუშების შრომის ინტენსიურობის გადიდების ხაზით და 2) წარმოების ორგანიზაციულ-სამეურნეო და ტეხნიკური გაუმჯობესების ხაზით. ამ მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებაში მთავარი როლი უნდა ითამაშოს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტმა. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტმა მუშებს შორის უნდა შექმნას განწყობილება შრომის ნაყოფიერების გადიდების სასარგებლოთ. მან ფართო გასაქანი უნდა მისცეს და გამოიყენოს თავისი წევრების გაძლიერებული აქტივობა; მიღებული უნდა იქნეს პრაქტიკული ღონისძიებები შრომის უკეთესათ გამოყენებისა და წარმოების რაციონალურათ დაყენებისათვის.

პირადი შრომის ინტენსიურობის გადიდების სფეროში საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის წინაშე სდგას ამოცანა—მთლიანად დატვირთული იქნეს სამუშაო დღე. საჭიროა მიაღწიოთ იმას, რომ მუშა თავის დროზე გამოცხადდეს სამსახურში, თავის დროზე შეუდგეს შრომას, დახარჯოს ფიზიკური ენერგიის რაც შეიძლება მეტი რაოდენობა სამუშაო დღის განმავლობაში, დაშვებული არ უნდა იქნეს დროის უქმათ გაცდენა; ამასთანავე მუშამ სამუშაო უნდა შეწყვიტოს იმ ვადაზე, რომელიც დაწესებულია შინაური მმართველობის წესრიგით.

საფაბრიკო საქარხნო კომიტეტმა მთლიანად უნდა დატვირთოს სამუშაო დღე სასარგებლო შრომით, ამავე დროს მან შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის საშუალებით უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენათ შეეფერებიან დამუშავების მომქმედი ნორმები მანქანების და სამუშაო დღის დატვირთვას. ამასთანავე საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტმა უნდა მიაღწიოს იმას, რომ ეს ნორმები მტკიცე ნორმებათ გახდენ განსაზღვრული პერიოდისათვის, რომ ისინი შეეფერებოდენ წარმოების ორგანიზაციულ-ტეხნიკურ პირობებს.

ნარდ სამუშაოებში შრომის უმაღლეს ნაყოფიერების თავდებათ უნდა ჩაითვალოს პირდაპირი, განუსაზღვრელი და ნარდი საფასურის გადახდის სისტემა. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტმა თვალყური უნდა ადევნოს ამ სისტემის სწორ განხორციელებას და ამავე დროს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ნაწარმოების ღირსებას. მუშის დაინტერესებამ, რომ უფრო მეტი ხელფასი აიღოს ნარდით მუშაობაში, შეიძლება გავლენა იქონიოს ნაწარმოების ღირსებაზე. გარდა იმისა, რომ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტმა უნდა ახსნას მუშებს დაბალი ღირსების საქონლის გამოშვებისა და მასალის გაფუჭების დაუშვებლობა, მან უნდა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ადმინისტრაციას ნაწარმოების ღირსების ამაღლებაში და საქონლის უვარგისობასთან ბრძოლაში.

საფაბ.-საქარხნო კომიტეტმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მუშების გაცდენას. უნდა სასტიკი ბრძოლა აუტეხოს უკანონო გაცდენისა და ტყუილ მომიზეზების წინააღმდეგ. ამ საქმეში უდიდესი როლი უნდა ითამაშოს საზოგადოებრივ აზრის მობილიზაციამ და შეგნებულ კოლექტივის გავლენამ.

რაც შეეხება საორგანიზაციო-სამეურნეო დარგს—აქ საფაბ.-საქარხნო კომიტეტმა ყურადღება უნდა მიაქციოს სამუშაოს შიგ დაწესებულებაშივე გონიერათ დანაწილებას და ნორმალურ დამოკიდებულების დამყარებას მაწარმოებელ მუშებსა, უბრალო მუშებსა და მოსამსახურეთა შორის. ამ მიზნით საფ.-საქარხნო კომიტეტმა უნდა ხელი შეუწყოს სამუშაოს გონიერათ განაწილებას, მუშებს უნდა მისცეს საკმაო მანქანები და დაზგები, უნდა შეამოკლოს ზედმეტი მუშათა ხელი და განსაკუთრებით კი მოსამსახურეებისა.

სამუშაოს საკმაოდ დატვირთვის მოსაზრებით—დაწესებულებაში უნდა მოაწყონ იქაურ იარაღების და მანქანების სავსებით გამოყენება და აგრეთვე მუშათა ძალისაც. თავის დროზე შემზადება და მიწოდება ნედლისა და სხვა მასალისა, იარაღების წესიერათ ყოფნა—აი რას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება ამ საკითხში.

უდიდესმა ეკონომიამ და ზედმეტ ხარჯების შემოკლებამ წარმოებაში, პირველ ყოვლისა კი მასალისა და სათბობის მომჭირნეობამ დიდი გავლენა უნდა მოახდინოს საქონლის თვითღირებულების გაიაფებაზე.

შესაძლებლობა გაუმჯობესებამ და მასალების გადაგზავნის და მიწოდების საშუალებების მექანიზაციამ წარმოების შიგნით, სამუშაო ბინის გაუმჯობესებამ და უფრო მეტ საწარმოო მიღწევებთან შეგუებამ დიდი სამსახური უნდა გაუწიოს შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

და, დასასრულ, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტმა თვალყური უნდა ადევნოს იმას, რომ წარმოებაში სამუშაო ხელფასის გასასტუმრებლად მიღებული თანხები იხარჯებოდეს მათი პირდაპირი დანიშნულებისათვის.

ყველა ამ საკითხების გადაჭრაში საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტი უნდა დაეყრდნოს თავისი წარმოების მუშათა კოლექტივს და პირველყოვლისა მის აქტიურ და შეგნებულ ნაწილს. საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტმა ფართოდ უნდა გამოიყენოს საწარმოო თათბირები, მან ამოცანად უნდა დაისახოს მუშების ფართოდ ჩაბმა საქარხნო ცხოვრების შესწავლაში, წარმოების ინტერესებში და დასასრულ, საზოგადოებრივ კონტროლში წარმოების მუშაობის მსვლელობაზე. სავსებით გამოყენებული უნდა იქნეს მუშის ყოველგვარი ინიციატივა, თვითეული მისი წინადადება, რომელიც მიმართულია წარმოების გაუმჯობესებისაკენ.

დიდი და საპასუხისმგებლო როლი შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში უნდა შეასრულოს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიამ. ზემოდ ჩამოთვლილ ღონისძიებების მნიშვნელოვანი ნაწილი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტმა უნდა განახორციელოს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის საშუალებით. ამიტომ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მუშა ნაწილში აუცილებლად შეყვანილი უნდა იქნენ უფრო დახელოვნებული და მასების ავტორიტეტით აღჭურვილი ამხანაგები: ასეთივე მოთხოვნილება უნდა წარუდგინოს ადმინისტრაციასაც.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტმა, რომელიც უზრუნველჰყოფს შრომის ნაყოფიერების გადიდების პირობებს, რომელიც ეხმარება ადმინისტრაციას ამ პირობების გამოძებნაში, არ უნდა დაუშვას წინანდებურად წარმოების საზოგადოებრივ ორგანიზაციების ჩარევა ადმინისტრატიულ-სამეურნეო დარგში.

ქარხნების ადმინისტრაციის მიერ ყურადღებით და დაფიქრებულად მოპყრობა იმ წინადადებებისადმი, რომელთაც აყენებენ საწარმოო თათბირები, მუშათა მთელი მასის მხრივ მხარის დაჭერა ადმინისტრაციის ღონისძიებებისათვის უზრუნველყოფს ურთიერთ თანხმობას, ურთიერთ ნდობას მუშათა მასის და ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალს შორის, ურთიერთ კავშირს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის და წარმოების ადმინისტრაციის მუშაობაში და შექმნის წარმოებაში პირობებს წარმოების გაუმჯობესებისათვის, შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის და ფაბრიკა-ქარხნის საქონლის თვითღირებულების გაიაფებისათვის.

ტ. პ.

კოოპერატიული კრედიტი სასოფლო მეურნეობაში*)

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობის მეთოდის საკითხის გამო ამხ. ასათიანი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „სასოფლო-სამეურნეო კრედიტის კოოპერაცია რუსეთში გადაიქცა და ახლაც არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განუყრელი ნაწილი".

იგი დიდად სწუხს, რომ საქართველოში ასეთი მდგომარეობა არ არის, რაც მისი აზრით, „არ შეეფერება საქმის ინტერესებს". (იხ. „Нот и хозяйство" № 2).

მართალია ეს? ჩვენი აზრით, არა.

უპირველესად ყოვლისა სწორი არ არის ავტორის მტკიცება ვითომ საქართველოში სულ 40—50 საკრედიტო კოოპერატივია სასოფლო-სამეურნეო ბანკის სისტემაში. ცნობები საკრედიტო კოოპერატივების შესახებ სულ სხვას გვეუბნება:

ქუთაისის მაზრაში არის 8 საკრედიტო კოოპერატივი, ლეჩხუმის 4, რაჭის 5, შორაპნის 5, სამხრეთ-ოსეთის—2, ბორჩალოს—2, ახალციხის—2, ახალქალაქის—2, გორის—6, სიღნაღის—10, თელავის—7, დუშეთის—5, ტფილისისა—7, სენაკის—5, ზუგდიდის—5, ოზურგეთის—6, აჭარაში—1. სულ 82.

აქედან ვხედავთ, რომ საკრედიტო ამხანაგობათა ქსელი ფართოდ მოფენილია მთელ საქართველოში. ყველა ისინი შექმნილია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ძალღონით და საშუალებებით.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკი დიდი ხანი არ არის რაც დაარსდა, უნდა ვაღიაროთ, რომ მეტად დიდი მუშაობა შესრულებია.

იმ ფაქტიდან, რომ გლეხებმა, რომელნიც კრედიტის მწვავე საჭიროებას განიცდიან, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან 19 საკრედიტო განყოფილება შექმნეს, სრულიად არ გამომდინარეობს, თითქოს ყველა საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც დაარსებულია სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში უნდა იყოს.

რაღა საბუთები მოჰყავს ამხ. ასათიანს იმის სასარგებლოდ, რომ საკრედიტო ორგანიზაციათა შექმნის უფლება მიეცეს განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის „სოფლკავშირის" ხელმძღვანელობას?

„თუ წარმოკავშირი ცალკე დაიწყებს საკრედიტო სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა მშენებლობას,—ამბობს ამხ. ასათიანი,—ხოლო ბანკი ცალკე, მაშინ შეუძლებელი გახდება გეგმაშეწონილად მთელ გლეხურ საქართველოს დაფარვა კოოპერატიულ კრედიტით.

ამას გარდა მაშინ მოსალოდნელია პარალელიზმით მუშაობა. აქედან ის დასკვნა უნდა იქნას გამოყვანილი, რომ საჭიროა ან ბანკმა და ან წარმოკავშირმა ხელი აიღოს საკრედიტო ამხანაგობათა დაარსების უფლებაზე. ამხ. ასათიანის აზრით, სასოფლო-სამეურნეო ბანკმა არ უნდა შექმნას საკრედიტო ამხანაგობათა ქსელი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი მოთხოვნა ვერ იქნება გამართლებული ვერც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სიმძლავრით და ვერც მისი წარსული მუშაობით საქართველოს ფარგლებში. წარმოკავშირში შემავალ ძირითადი ორგანიზაციები დიდი ხნის დაარსებული არ არიან. მათ სულ რაღაც ერთის წლის მუშაობის გამოცდილება აქვთ. უმეტეს ნაწილად ძირითადი და საბრუნავი თანხა არ მოეპოვებათ, ხოლო ბევრი მათგანი მარტო სახელწოდებას ატარებს. საკრედიტო ფუნქციების მინიჭება ასეთი ორგანიზაციებისათვის ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. თუ საკითხი ასე იქნება დაყენებული შესაძლებელია, რომ სამომხმარებლო კოოპერაციამაც მოითხოვოს მომხმარებელ საზოგადოებებთან საკრედიტო განყოფილებათა დაარსების უფლება. წარმოკავშირის თაოსნობით დაარსებულია 19 საკრედიტო ამხანაგობა სასოფლო-სამეურნეო ტიპის კოოპერატივებთან იმ დროს, როდესაც სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ შექმნილია ორჯელ მეტი საკრედიტო განყოფილება, რომელიც ასრულებს საკრედიტო ამხანაგობათა ფუნქციებს.

როგორც ვიცით, ასეთი ოპერაციები გათვალისწინებულია საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემულ დეკრეტით.

მაგრამ რადგანაც ჩვენ დავადექით სხვადასხვა სახის კოოპერაციის ფუნქციების სასტიკად განსაზღვრის გზას, ბოლომდის უნდა მივყვეთ ორგანიზაციის ასეთს სქემას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ დაუბრუნდებით კოოპერაციის ინტეგრალურ მშენებლობას, რაც ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის უკანასკნელ ყრილობის დადგენილებას.

ამხ. ასათიანს მოჰყავს მაგალითი რუსეთის კოოპერატიულ ცხოვრებიდან და ამბობს, რომ იქ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის კოოპერაცია „გადაიქცა და დღესაც არის სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის განუყოფელი ნაწილი".

ეს არ არის ასე.

რუსეთში, როგორც ჩვენშიც, არის საკრედიტო განყოფილებები როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებთან, ისე მომხმარებელ საზოგადოებებთან. მაგრამ ამას გარდა სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ შექმნილია მთელი რიგი საკრედიტო ამხანაგობებისა წვრილ მეურნეობათათვის უშუალოდ კრედიტის მიცემის მიზნით. საკრედიტო კოოპერაცია არა თუ არ არის „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განუყოფელი ნაწილი", პირიქით, დასმულია საკითხი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საკრედიტო განყოფილებათა გაუქმების შესახებ.

ამ საკითხის გამო ამხ. **ლევინი** „საფინანსო გაზეთში" (1924 წლის დეკემბრის 19-ს №) სწერს: „სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ძირითად უჯრედის მოწყობის დროს გადაჭრით უნდა ავიღოთ ხელი საკრედიტო კოოპერაციის შუამდებარე ფორმებზე, რომელსაც დღეს აქვს ადგილი, სახელდობრ: საკრედიტო განყოფილებათა ფორმებზე, სხვა სახეების კოოპერაციის (სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო) სისტემაში".

საკითხის ასეთი დაყენება წარმოუდგენელი იქნებოდა რომ საკრედიტო კოოპერაცია „განუყოფელი" კავშირი ჰქონდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან.

დაასრულა, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებათა სრულიად საკავშირო ყრილობამ გამორკვეულად აღიარა, რომ დატოვებული იქნას სასოფლო-სამეურნეო ბანკი, როგორც სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ხელმძღვანელი ორგანო. ყრილობის რეზოლიუციით საორგანიზაციო საკითხია გამო „დაწესებულების სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მთელი სისტემის მთლიანობა, რომლის სათავეშიც სდგას ცენტრალური სასოფლო სამეურნეო ბანკი, როგორც მთელი მუშაობის ხელმძღვანელი ორგანო სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სფეროში".

ამის შემდეგ საჭირო აღარ არის ლაპარაკი რუსეთის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის „განუყოფელ" კავშირზე.

წერილის ბოლოს ამხ. **ასათიანი** შემდეგ დასკვნამდე მიდის: „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ყველა დარგი წარმოადგენს ერთსა და იმავე კოლექტიურ ძალს და ერთი და იმავე მიმართულების ზეგავლენის სხვადასხვა წესს, ამიტომ საჭიროა, რომ ეს წესები მიმდინარეობდეს ერთ მომწესრიგებელ და ჩამომყალიბებელ ცენტრიდან".

ეს ძალიან „ინტეგრალისტურად" არის ნათქვამი. საქმე იმაშია, რომ როგორც სამომხმარებლო, ისე სასოფლო-სამეურნეო, აგრეთვე საკრედიტო ფუნქციები წარმოადგენს „ერთი და იმავე კოლექტიურ ძალის და ერთი და იმავე მიმართულების" სხვადასხვა წესს. მაგრამ აქედან ჩვენს პარტიას უკანასკნელ ყრილობაზე სრულიად არ გამოუტანია დასკვნა, რომ საჭიროა შექმნილ იქმნეს ყველა ამ სხვადასხვა სახისათვის „ერთი მომწესრიგებელი და ჩამომყალიბებელი ცენტრი"-ო.

მართალია, ჩვენი პარტია **პრინციპიალურად** არ უარჰყოფს ინტეგრაციას, როგორც საშუალებას სახალხო მეურნეობის მრავალ დარგის კოოპერატიული წესით მოსაწყობათ (განსაკუთრებით სასოფლო-მეურნეობის დარგში), მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ წამს არ შეიძლება ამ საკითხის დასმა და სასწრაფოდ გადაჭრა.

ჩვენი პარტიის რეზოლიუციაში ნათქვამია: „საჭიროა, ჯერ საკმაოდ მოვამზადოთ გლეხი როგორც მომხმარებელი და როგორც მწარმოებელი და მხოლოდ შემდეგ დავსვათ საკითხი მათ გაერთიანების შესახებ. ამავე დროს დაწვრილებით უნდა იქნას შესწავლილი მიღებული გამოცდილება ინტეგრაციისა"-ო.

ცხადია, რომ რეზოლიუციის ნამდვილი აზრის მიხედვით დრომდე ვერც ერთი სახის კოოპერაცია ვერ მიისაკუთრებს საკრედიტო კოოპერატივების ფუნქციებს ისე, რომ ამ ამხანაგობებს არა ჰქონდეთ თავიანთი საგანგებო „მომწესრიგებელ-ჩამომყალიბებელი ცენტრი" ინსტრუქციების მიცემისა რევიზიის გაწევის უფლებით.

ა. ერქომაიშვილი.

---

*) დისკუსიის წესით.

რადიო-დეპეშები

(„საქართსტა"-ს ცნობებით)

შ. ერბეტი კალინინთან

რწმუნების სიგელების გადაცემა

მოსკოვი. 15 იანვარი. 14 იანვარს საფრანგეთის ელჩმა ჟან ერბეტმა ჩააბარა კალინინს რწმუნების სიგელები.

ერბეტის სიტყვა

სიგელების ჩაბარების დროს ელჩმა განაცხადა: „მე მოვედი აქ იმისათვის, რომ ვიმუშაო მომავლისათვის. რასაკვირველია, ზრუნვა მომავალზე არ წარმოადგენს საკმაო საფუძველს იმისათვის, რომ დავივიწყოთ წარსული. მაგრამ წარსულის მოგონებამ ჩვენ უნდა მოგვცეს სტიმული და არა შეფერხება მუშაობაში. გვახსოვდეს ძნელი ამოცანები, რომლებიც ჩვენ გვიანდერძა წარსულმა, მაგრამ მოვიგონოთ ისინი ისე, რომ ყოველივე ძალ-ღონე ვიხმაროთ მათ გადასაჭრელათ. ჩვენი ქვეყნის ნაციონალური ინტერესები არსად არ ეჯახებიან ერთმანეთს. **ჩვენ არაფერი გვიშლის ხელს ვიმუშაოთ ერთად იმისათვის, რომ შევქმნათ აუცილებელი პირობები ყოველგვარი ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის, ყოველგვარი სოციალური ემანსიპაციისათვის, ყოველგვარი საკაცობრიო პროგრესისათვის, ვიმუშაოთ მშვიდობიანობის დასამყარებლად".**

ამხ. კალინინის პასუხი

კალინინმა უპასუხა: „**ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა საფრანგეთის რესპუბლიკასთან შეადგენდა საბჭოთა კავშირის გულწრფელ მისწრაფებას.** ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესები არ ეჯახებიან ერთმანეთს, უნდა გახდეს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრულ ურთიერთობის განვითარების და განმტკიცების უტყუარი თავდები. ეს მიგვიყვანს მტკიცე და **მშვიდობიან თანამშრომლობამდე, რაშიაც ორივე სახელმწიფო დიდათ არის დაინტერესებული."**

სენატორ ბორას განცხადება

ნიუ-იორკი. 13 იანვარი. „როსტა"-ს კორესპონდენტთან საუბრის დროს სენატორმა ბორამ განაცხადა: „ამერიკა უსათუოდ იცნობს რუსეთს". მაგრამ ძნელია იმის გამორკვევა, თუ როდის მოხდება ეს. მე ვფიქრობ, რომ ამ საკითხის გადაჭრა უზრუნველყოფილია.

შეეხო რა განიარაღების კონფერენციის საკითხს, ბორამ განაცხადა: „მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ინგლისი თანაგრძნობით შეხვდება ამერიკის ინიციატივას კონფერენციის მოწვევაში რუსეთის და გერმანიის მონაწილეობით. ინგლისს მძიმე მდგომარეობაში აყენებს ჟენევის ოქმი, რომელზედაც ის უარს არ ამბობს, მაგრამ უნდა არა ხელისმოწერა მასზე, არამედ მისი მოსპობა. ამერიკის ინიციატივა კონფერენციის მოწვევაში რუსეთის და გერმანიის მონაწილეობით გამოიყვანს ინგლისს ძნელი მდგომარეობიდან".

ბორას გეგმები

ნიუ-იორკი. 13 იანვ. შაბათს დილით ბორამ ოფიციალურად მიმართა კულიჯს წინადადებით, რომ მოიწვიოს განიარაღების კონფერენცია ისე, რომ არ აღნიშნოს საბჭოთა კავშირის და გერმანიის მონაწილეობა. იმავე დღეს მიღებულ იქნა ცნობა იუზის გადადგომის შესახებ. **დღეს ბორამ პირველად აცნობა „როსტა"-ს კორესპონდენტს, რომ მას განზრახული აქვს მიაღწიოს საბჭოთა კავშირის და გერმანიის დაშვებას განიარაღების კონფერენციაზე.** წინათ ის მოითხოვდა საბჭოთა კავშირის და გერმანიის მონაწილეობას ეკონომიურ კონფერენციაზე, რომლის მოწვევის პროექტს მან თავი დაანება კულიჯისათვის დათმობის სახით.

ბორას სტრატეგია ნათელია. „როსტა"-ს მოეპოვება ცნობები იმის შესახებ, რომ კულიჯი კიდევ არ არის მომხადებული ამ მიმართულებით გადამჭრელი ნაბიჯების გადადგმისათვის.

საფრანგეთ-გერმანიის უთანხმოება

ვერ შეთანხმდნენ.

ბერლინი. 15 იანვარი. გერმანიის მთავრობის ოფიციალურ ცნობაში გერმანიის და საფრანგეთის სავაჭრო მოლაპარაკების შესახებ ნათქვამია, **საფრანგეთის პროექტი, რომელიც შეეხება დროებით შეთანხმებას, არის უკვე გერმანიის მიერ უარყოფილი ძველი წინადადების განმეორება;** მათ შორის წინადადების ელზას-ლოტარინგიაში პორტო-ფრანკოს დატოვების შესახებ. იმის შემდეგ, რაც გერმანიამ არ მიიღო ეს პროექტი, საფრანგეთის დელეგაციამ გამოაყენა ახალი წინადადებები, რომელიც სავსებით სცვლის იმ ბაზისს, რომელსაც დღემდე ემყარებოდა საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება. გერმანიის დელეგაციის პასუხს მოელიან მახლობელ დღეებში. შესაძლებელია, რომ გერმანიამ თავის მხრივ რომ გერმანიის წარმომადგენლებს სრულებით არ სურთ მოლაპარაკების წარადგინოს კონტრ-წინადადებები.

ბერლინი. 15 იანვარი. მინისტრმა რეინჰოლდმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკების ჩაშლაზე. მან განაცხადა, რომ ეს მოლაპარაკება განახლდება სულ ახლო მომავალში.

ბერლინი. 15 იანვარი. „ერ ნუველ" სწერს, რომ ხმები საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკების ჩაშლის შესახებ სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. გაზეთი აღნიშნავს, ჩაშლა,—პირიქით, მათ სურთ დაწვრილებით განიხილონ რეინჰოლდის წინადადებები, რათა მიაღწიონ შეთანხმებას არც საფრანგეთის ინტერესს შეადგენს დაჰკარგოს ელზას—ლოტარინგიის მრეწველობა გერმანიასთან სატარიფო ომის გულისათვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გამონახული იქნება რაიმე კომპრომისი, რომლითაც ადვილი იქნება დაბრკოლებების დაძლევა.

კულიჯი პოლიტიკას შეცვლის

ნიუ-იორკი. 14 იანვარი. მიუხედავათ თეთრ სახლში გაკეთებული განცხადებისა იმის შესახებ, რომ იუზის საგარეო პოლიტიკა შეცვლილი არ იქნება, პრესა საერთოდ ფიქრობს, რომ კულიჯს განზრახვა აქვს ნელნელა მოამზადოს ნიადაგი საბჭოთა კავშირის ცნობისათვის.

რეაქციონურ რესპუბლიკანურ გაზეთ „ნიუ-იორკ ტრიბუნის"-ის ვაშინგტონის კორესპონდენტი ამბობს: „პრეზიდენტი ფიქრობს, რომ რუსეთი წინ მიიწევს და ამით უახლოვდება შესაძლებელ ცნობას". საერთო აზრით, თეთრი სახლის განცხადება გამოწვეული იყო პრესის კომენტარიებით, რომლებშიაც აღნიშნული იყო შესაძლებელი უარის თქმა იუზის პოლიტიკაზე და ხაზგასმული იყო ბორას გავლენის თანდათანობითი ზრდა.

პრესის აზრით, ყველაფერი ეს მაჩვენებელია იმის, რომ თანდათან მზადდება ნიადაგი საგარეო პოლიტიკის გადასინჯვისათვის; ამასთანავე მმართველი წრეები სცდილობენ დაამტკიცონ თითქოს იუზის პოლიტიკა ძალაში რჩება.

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

ლიუტერს იმედი აქვს.

პარიზი. 15 იანვ. სამშაბათს საღამოს ფინანსთა მინისტრი ლიუტერი ეწვია პრეზიდენტს ებერტს და გააცნო მას პარტიების წარმომადგენლებთან მისი მოლაპარაკების მსვლელობა. ლიუტერმა განაცხადა, რომ ეს მოლაპარაკება იმდენად წარმატებით მიმდინარეობს, რომ ყოველ მიზეზს გარეშე, სამშაბათს შესაძლებელი იქნება ისეთი მთავრობის შედგენა, რომელსაც მხარს დაუჭერს რეიხსტაგის უმრავლესობა.

ლიუტერის განცხადება.

ბერლინი, 14 იანვ. ფინანსთა მინისტრმა ლიუტერმა მოხსენება გაუკეთა პრეზიდენტ ებერტს და განუცხადა, რომ ის იკისრებს მთავრობის შედგენას, როგორც კი პარტიებს შორის მიღწეული იქნება შეთანხმება.

მოკავშირეთა ფინანსიური კონფერენცია

ქათინაურები უძღვნეს ერთმანეთს

პარიზი. 14 იანვარი. მოკავშირეთა საფინანსო კომისიის საბოლოო სხდომაზე ინგლისის დელეგატმა ჩერჩილმა განაცხადა, რომ ამერიკის ოფიციალური მონაწილეობა დოუესის გეგმის განხორციელებაში დიდ ავტორიტეტს მატებს ამ გეგმას. თუ ვიმოქმედებთ ამავე სახით და ამავე საშუალებებით, ჩვენ მივაღწევთ ნამდვილ მშვიდობიანობას ევროპაში.

შემდეგ გამოვიდა ამერიკის ელჩი ლონდონში კელლოგი (ამერიკის მომავალი გარეშე საქმეთა მინისტრი), რომელმაც იმედი გამოსთქვა, რომ დოუესის გეგმა მოიტანს სასურველ შედეგებს, რადგანაც ის დამყარებულია მტკიცე და საქმიან პრინციპებზე.

კელლოგმა განაცხადა, რომ ამერიკის საზოგადოებრივი აზრი ძალიან დაინტერესებულია ამ გეგმის გამარჯვებით.

დასასრულ ერიომ მთავრობის სახელით ცხარე მადლობა გადაუხადა ყველა ექსპერტებს და დელეგატებს, „რომელთა მუშაობამ მოიტანა დადებითი პრაქტიკული შედეგები მშვიდობიანობის აღდგენის საქმეში".

ფინანსიური შეთანხმება მიღწეულია?

პარიზი, 14 იანვ. ჰავასის სააგენტოს ცნობებით, პარიზმა მოკავშირეთა კონფერენციაზე მიღებული იქნა ფინანსიური შეთანხმება.

რუმინეთმა და იტალიამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას შენიშვნებით. სარეპარაციო კომისიის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია დოუესის გეგმის გატარებასთან, შეთანხმებაში ნავარაუდევია 9.250.000 ოქროს მარკის რაოდენობით პირველ წელში და 7.500.000 მარკა—შემდეგ წლებში. მოკავშირეთა რეინის კომისიის ხარჯები უდრის 10 მილ. მარკას პირველ წელში, მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის ხარჯები—3 მილ. მარკას. ხარჯები საოკუპაციო ჯარების შესანახავად უდრის 1924—25 წელში 160 მილ. ოქროს მარკას; აღნიშნული თანხა განაწილებული უნდა იქნეს მოკავშირეთა და შეერთებულ შტატებს შორის 1925 წ. პირველ სექტემბრამდე.

ამერიკის საოკუპაციო არმიის შესანახად საჭირო თანხები დაფარული იქნება ყოველწლიური გადასახადებით 55.000.000 ოქროს მარკის რაოდენობით, დაწყებული 1926 წლის პირველ სექტემბრიდან. ამერიკას უფლება აქვს მიიღოს ორი და ერთი მეოთხედი პროც. გერმანიის სარეპარაციო გადასახადებიდან და იმ ხელშეკრულებებიდან, რომლებიც შეეხება დოუესის გეგმის თანახმად გამოშვებულ სარკინიგზო სამრეწველო ობლიგაციებს და სხვა ფასიან ქაღალდებს.

იმ მიზნით, რომ გაადვილებული იქნეს დოუესის გეგმის განხორციელება, სარეპარაციო კომისია და რეპარაციების გენერალურ აგენტს თვალყურის დევნება ექნებათ დაწესებული იმაზე, რომ გადასახადების შეტანილი იქნეს ყოველწლიურათ და მოხდეს მათი თანაბარი განაწილება ყოველთვიურათ.

სარეპარაციო კომისია უზრუნველყოფს გადასახადების შეტანას ეხლანდელი შეთანხმების მიხედვით; შეთანხმების ასე თუ ისე გაგება შესაძლებელია მხოლოდ ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება რაიმე უთანხმოებას, ის გადაცემული უნდა იქნეს არბიტრაჟის წესით გადასაწყვეტათ იმ ინსტანციაში, რომელსაც ერთხმად ირჩევს სარეპარაციო კომისია. იმ შემთხვევაში, თუ უთანხმოება მოგვარებული არ იქნება, მაშინ არბიტრაჟის დანიშვნის უფლება ეძლევა შეერთებულ შტატებს ანუ ჰააგის ტრიბუნალის წარმომადგენელს.

თეთრგვარდიელთა პრესა

„ტაკტისა და პატიოსნების გადაღმა" ანუ „ინტერვენცია გამარჯვებულების სასარგებლოთ"

„ტაკტისა და პატიოსნების გადაღმა" მოხვდნენ ინგლისის პროფკავშირების წარმომადგენლები, რომელთა მოგზაურობა საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოში ნიშნავდა „ინტერვენციას გამარჯვებულების (ე. ი. ბოლშევიკების) წინააღმდეგ".

ვინ მოსთქვამს ამას, ვისი გული აღრინებულა ასე? ამას მოსთქვამენ რუსი მენშევიკები, რომლებიც თავიანთ ორგანოში, „Социалистический вестник" (ბერლინი, 20 დეკემბერი № 24) ათავსებენ **„ღია წერილს** ინგლისის მუშათა პარტიის აღმასკომისა და ტრედიუნიონების გენერალური საბჭოსადმი".

ბურჟუაზიასთან ერთად მენშევიკები შეიქნენ იმ დაუშრეტელ წყაროთ, საიდანაც შავი სისლივით იღებოდა მთელ უცხოეთს მათი ცილისწამებისა და ჭორების კორიანტელი საბჭოეთისა და მმართველი პარტიის შესახებ. ამისათვის მათ მოეპოვებოდათ საკმაო რიცხვი აგენტებისა საბჭოთა კავშირში და მის გარეთ, მათ განკარგულებაში იყო და არის მთელი მოფლიოს ყვითელი პრესა. და როდესაც ცილისწამების ეს შავი ნისლი ეჭვების სხივებმა დაფერა, როდესაც თანდათანი გამოფხიზლების გზაზე შემდგარი საზოგადოებრივი აზრი მუშებისა იძულებული შეიქნა სარწმუნო წყაროებისთვის მიემართა, რათა გამოერკვია ჭეშმარიტი მდგომარეობა და აქ მიზნით ინგლისის მუშებმაც განსაკუთრებული დელეგაცია გამოგზავნეს ჩვენში, რომლის გამოკვლევის შედეგიც მომაკვდინებელი შეიქნა მენშევიკებისა და ბურჟუაზიისათვის—სწორეთ ამის შემდეგ რუსმა „სოციალისტებმა" გადასწყვიტეს ხმა აღემაღლებიათ ამხ. პერსელისა და კომპანიის წინააღმდეგ.

„საბჭოთა ხელისუფლებას ჩაუვარდა ხელში დელეგაცია—ასე სწერენ დანი და მისი ამხანაგები—და ისიც მისდაუნებურად [illegible] შეიქნა ბოლშევიკური პროპაგანდის იარაღათ"-ო.

ამნაირათ, თუმცა პერსელი და მისი ამხანაგები წინააღმდეგი იყვნენ გამხდარიყვნენ ბოლშევიკური პროპაგანდის იარაღი, მაგრამ ფაქტიურათ ასეთი იყო მათი როლი. მენშევიკური ჟურნალის მკითხველები უნდა ჩააფიქროს იმ გარემოებამ, რომ დელეგაცია ისე შეიქნა მოჯადოებული საბჭოთა კავშირით, რომ ის ამეტყველდა ბოლშევიკური ხელისუფლების სასარგებლოთ.

„ჩვენ იძულებული ვართ—სწერენ მენშევიკები—გავაცხადოთ სასტიკი პროტესტი ინგლისის დელეგაციის ასეთი საქციელის გამო, რომელიც ძნელ ჩრდილს აყენებს რუსეთში დემოკრატიზმისა და სოციალიზმის განხორციელების საქმეს"...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისის მუშათა კლასის **დიდი უმრავლესობა,** მოისმენს რა (თუ მოისმენს) ამ პროტესტს, უკამათოთ გადავა თავისებური სიდინჯით „მორიგ საქმეებზე".

მენშევიკური სოციალ-დემოკრატიის სახე



ერთი პირით ბურჟუაზიისაკენ, მეორე—პროლეტარიატისაკენ

უკანასკნელი ცნობები

რ. ლიუქსემბურგის და კ. ლიბკნეხტის ხსოვნისათვის

ბერლინი. 14 იანვარი. კომპარტიის და კომკავშირის ბერლინის ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს მოწოდება, რომლითაც იწვევენ პროლეტარიატს მიიღონ მონაწილეობა დემონსტრაციაში პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის სასარგებლოდ და კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის ხსოვნის აღსანიშნავად.

15, 16 და 17 იანვარს ბერლინის ყველა რაიონებში გაიმართება კრებები დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად.

ლენინის ხსოვნისათვის

ბერლინი. 14 იანვარი. 21 იანვარს სპორტის სასახლეში ბერლინში კომკავშირის და კომპარტიის ძალებით მოწყობილი იქნება საერთაშორისო მიტინგი ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად.

პრუსიის ლანდტაგის გახსნა

ბერლინი. 14 იანვარი. პრუსიის ლანდტაგის სხდომა გაიხსნა. დარბაზი სავსეა ხალხით. კომუნისტი დეპუტატი შიკი შეეხო თავის სიტყვაში ამას წინად ხერნში რკინის გზაზე მომხდარ დიდ კატასტროფას, რომელსაც შეეწირა 29 კაცის სიცოცხლე და 6 კაცის დაჭრა. მან განაცხადა, რომ ყველა პარტიები, რომლებსაც ხმა მისცეს [illegible] პასუხისმგებელი არიან ამ კატასტროფისთვის, რომელიც მოხდა რკინის გზის მოსამსახურეთა შტატის შემცირების გამო. როდესაც ამის შემდეგ ერთმა [illegible] ფრაზა, ნაციონალისტებმა და სახალხო პარტიის [illegible] დემონსტრაციულად დატოვეს სხდომის დარბაზი. ბრაუნს, რომელიც იცავდა პრუსიის ყოფილი კაბინეტის კანონიერ მოქმედებას, ხშირად ხმაურობით აწყვეტინებდნენ სიტყვას კომუნისტები და დარბაზში დარჩენილი მემარჯვენეთა პარტიების წარმომადგენლები. როდესაც ბრაუნმა დაიწყო ლაპარაკი პრუსიის იუსტიციის „შესანიშნაობაზე" კომუნისტები [illegible]. ბრაუნი ჩამოვიდა ტრიბუნიდან ოპოზიციის ხმაურის ქვეშ. ნაციონალისტებმა, ფაშისტებმა, სახალხო პარტიამ და კომუნისტებმა შემოიტანეს წინადადება, რომლითაც [illegible] კაბინეტს და მოითხოვეს პოლიტიკური დეპუტატების [illegible] გათავისუფლება. სოციალ-დემოკრატებმა შემოიტანეს წინადადება [illegible]. 206 ხმით წინააღმდეგ 199 ლანდტაგმა მიიღო სოციალ-დემოკრატების წინადადება.

8 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ

ბერლინი 14 იანვარი. რეიხსტაგის პლენარულ სხდომაზე კომუნისტმა დეპუტატმა შტეკერმა მოაგონა, რომ 15 იანვრიდან შრომის მინისტრის ბრაუნის დაპირებით რეინის ოლქის და ზემო-სილეზიის ლითონის მრეწველობის ზოგიერთ დარგში 12 საათიანი დღის ნაცვლად უნდა შემოეღოთ 8 საათის სამუშაო დღე. კომფრაქციის წინადადება ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანის შესახებ უარყოფილი იქნა ყველა პარტიების ხმებით წინააღმდეგ კომუნისტებისა.

კომუნისტების დევნა ესპანეთში

პარიზი 14 იანვარი. გაზეთ „ეურაის" ცნობით, ბარსელონაში დაპატიმრებულია კომუნისტური ორგანო „სოციალური ბრძოლის" ყოფილი რედაქტორი მორენო, რომელსაც ბრალს სდებენ ვითომ ის მოსკოვიდან დარიგებული ინსტრუქციებით ესპანეთში კომუნისტური პროპაგანდის მოაწყობდა.

მიწის ძვრა არტაანში

ბერლინი. 15 იანვ. ხავასის სააგენტოს ცნობით მიწის ძვრა არტაანში გრძელდება. განადგურებულია 4 სოფელი. დაიღუპა 140 კაცი. 2000 კაცი უთავშესაფროდ დარჩა. ყინვა 30 გრადუსამდე ავიდა.

ამხ. რიკოვის საბოლოო სიტყვა მასწავლებელთა ყრილობაზე

მოსკოვი. 15 იანვარი. მე მივიღე რამდენიმე ასეული შეკითხვა. საერთოდ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მასწავლებელთა ყრილობაზე ისმება ისეთი საკითხები, რომლებიც უნდა ისმებოდეს არა მასწავლებელთა ყრილობაზე, არამედ სოფლის და თემის საბჭოების თავმჯდომარეთა საკავშირო ყრილობაზე. ეს ამტკიცებს რომ მასწავლებლობა იზიარებს გლეხობის გაჭირვებას და ინტერესებს. ერთი ორატორი მისაყვედურებდა, რომ მე ნაკლებად შევეხე სასოფლო-მეურნეობის სპეციალურ საკითხებს და უფრო მეტი ვილაპარაკე მძიმე ინდუსტრიაზე. ამ ამხანაგს საყვედურიდან ჩანს არ გაუგია იმის თუ რაზეა დამყარებული ოქტომბრის რევოლუციის სიმტკიცე, რაზეა დამყარებული ჩვენი სოციალისტური განვითარების შესაძლებლობა. სოციალისტურ განვითარებას უზრუნველყოფს პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, სახელმწიფო ხელისუფლება მუშათა კლასის დიქტატურით და გლეხობასთან კავშირით. მაგრამ მეურნეობაში ამ განვითარებას უზრუნველყოფს მსხვილი მრეწველობა, მსხვილი ინდუსტრია. ეს ნათლად უნდა იქნას შეგნებული, ვინაიდან ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებზე, რომ კერძო საკუთრება არსებობდეს ჩვენ არა თუ ვერ წავიდოდით სოციალიზმისკენ, არამედ დაგვჭირდებოდა ახალი რევოლუციის მოხდენა ამ პირობების [illegible]. ვლადიმერ ილიჩი ამბობდა, რომ ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა დაკავშირებულია მსხვილი ინდუსტრიის საკითხთან; თუ ჩვენ მსხვილი ინდუსტრია არ გვექნება ჩვენ [illegible] ევროპის კაპიტალის მონურ დამოკიდებულებაში ჩავვარდებით.

თუ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია მოვსპეთ ჩვენ აღმოვჩნდებით დასავლეთ-ევროპის კაპიტალის დამოკიდებულებაში და ისევ კიდევ ამ კაპიტალის ჩვენი კერძო კაპიტალის და წვრილ-ბურჟუაზიის პირდაპირი კავშირის პირობებში. ამ პირობებში საბჭოთა ხელისუფლება მუშათა და გლეხთა ხელისუფლების სიმტკიცე [illegible]. ამიტომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლია ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის მთავარ საფუძველს წარმოადგენს.

(დასასრული არ მიგვიღია)

მოთხოვნილება საბჭოთა ნავთის ნაწარმოებზე უცხოეთში

ბაქო. 15 იანვ. ნავთის სინდიკატმა მიჰყიდა საფრანგეთს 100 მილიონი ფუთი ბენზინი და 4.340.000 ფუთი სხვადასხვა ზეთი. დაკვეთა შესრულებული უნდა იქნას 2 წლის განმავლობაში. იტალიამ იყიდა მაზუთი 7.440.000 ფუთი. ბელგიის ერთ-ერთმა ფირმამ შეიძინა 62.000 ფუთი მაზუთი.

მუშებს ბინებიდან ჰრეკავენ

კონსერვატორების ლოცვა-კურთხევით

ლონდონი, 14 იანვარი. 14 იანვარს დილით ხელისუფლებამ განაახლა მუშების გამოსახლება ზოგიერთ სახლებიდან კლაიმაკში (მუშათა განაპირა უბანი გლაზგოში). მუშათა დამქირავებელი რაზმის გუშაგებმა აუწყეს მუშებს მოსალოდნელი სამიშვრიების შესახებ, რის შედეგადაც გამოსახლებულ მუშათა სახლებთან შეგროვდა მუშათა დიდი ჯგუფი. მუშებმა ჩამოგლიჯეს ბეჭდები გამოსახლებულთა სახლების კარებზე, ხელახლა დააბინავეს მუშები და შემდეგ გამართეს მიტინგი.

სახლების მეპატრონეები მოითხოვენ მდგმურების გამოსახლებას და იმედი აქვთ, რომ მთავრობა ჩაერევა ამ საქმეში.

მუსოლინის სამეფოში

ბერლინი. 15 იანვ. იტალია კვლავ განიცდის ფაშისტური ტერორის ხანას. უდინოში გაჩხრიკეს 200 კაცი, რომელთაც აბრალებენ ანტიფაშისტურ მუშაობას. დახურეს 15 ანტიფაშისტური ორგანიზაცია და კლუბები. დახურეს აგრეთვე დაახლოებით 20 სასადილო, სადაც იკრიბებოდნენ ფაშიზმის მოწინააღმდეგენი. ბელონში სცემეს სასიკვდილოდ ახალგაზრდა სოციალისტს, რომელმაც უარი სთქვა წითელ პროფკავშირიდან გასვლაზე.

ბერლინი. 15 იანვ. ფაშისტი დეპუტატი კაზალინი არჩეულია იტალიის პარლამენტის თავმჯდომარედ 239 ხმის უმრავლესობით 235 ხმიდან.

ამიერ-კავკასიის საოლქო სოფლად მუშაობის პარტიული კომისია აუწყებს ყველა თავის წევრებს: დღეს 16 იანვარს, საღამოს 6 საათზე ა.-კ. საოლქო კომიტეტის შენობაში შესდგება

კომისიის მორიგი სხდომა

დღის წესრიგში: მოხსენება ამხ. [illegible] და [illegible].
ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.
ამიერ-კავკასიის საოლქო სოფლად მუშაობის პარტიული კომისიის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

პარასკევს, 16 იანვარს, თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში წამოყენებულ უნდა იქნას შემდეგი საკითხი: „პარტიის ბრძოლა ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ". ამ მოხსენების ჩასატარებლად [illegible].

თ. კ. მდივანი [illegible].

რადიჩის საქმის გარშემო

გლეხთა ინტერნაციონალის დეპეშა

მოსკოვი, 14 იანვარი. გლეხთა წითელმა ინტერნაციონალმა ზაგრების (ხორვატია) სასამართლოს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „ხორვატიის გლეხთა რესპუბლიკანური პარტიის კანონ გარეშე გამოცხადებისა და მისი თავმჯდომარის და პარტიის სხვა ბელადების დაპატიმრების გამო იმ მოსაზრებით, თითქოს, გლეხთა ინტერნაციონალმა და ხორვატიის გლეხთა რესპუბლიკანურმა პარტიამ შეთანხმება დასდევს რადიჩის პარტიის საერთაშორისო გლეხთა საბჭოში შესვლის შესახებ,—გლეხთა ინტერნაციონალის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს სასამართლოს გამომძიებელს [illegible] ჩვენების ჩამოსართმევად გლეხთა ინტერნაციონალის პრეზიდიუმის წევრი და გენერალური მდივნის მოადგილე ტომაშ დომბალი, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა რადიჩთან ხორვატიის გლეხთა რესპუბლიკური პარტიის გლეხთა ინტერნაციონალში შესვლის შესახებ.

გლეხთა ინტერნაციონალის პრეზიდიუმი მზად არის [illegible] სასამართლოს [illegible] ყველა იმ დოკუმენტების ორიგინალს, რომლებიც ამ საქმეს შეეხება.

ახალი „საბუთები"

ვენა, 14 იანვარი. იმის შემდეგ, რაც უშედეგოთ დამთავრდა რადიჩის პარტიის წინააღმდეგ მიღებული რეპრესიული ზომები, ზაგრების სასამართლოს ცნობილ დადგენილების გამო სამხრეთ-სლავიის პოლიციამ პროკურატურას წარუდგინა ახალი საბრალმდებლო მასალები რადიჩის წინააღმდეგ. ეს მასალები წარმოადგენენ 44 გვერდზე დაწერილ წერილს, რომელიც თითქოს რადიჩის მიერ არის შედგენილი; ეს წერილი აშკარა სიყალბეს წარმოადგენს. წერილში განხილულია გლეხთა პარტიის ტაქტიკა იმ შემთხვევისათვის თუ მოკლული იქნება სერბიის მეფე ანდა ხორვატია ჩამოშორდება სამხრეთ-სლავიას და სხვა.

მთავრობის მანევრი

ვენა, 14 იანვარი. პოლიციის მიერ რადიჩის პარტიის უშედეგო დევნა [illegible] პაშიჩის მთავრობას, რომელიც რეპრესიული ზომებით ფიქრობდა რადიჩის პარტიის დაშლას.

ხორვატიის მთელი საზოგადოებრივი აზრი მხარს უჭერს რადიჩს ბელგრადის წინააღმდეგ. ბრძოლა, რომელიც დაიწყო პაშიჩის მთავრობისა და რადიჩის პარტიის შორის, გადადის უკვე ბრძოლაში ცენტრალისტურ სერბიასა და ხორვატიის შორის.

კომუნისტების პროცესი

ბერლინი, 13 იანვ. დაიწყო 16 გერმანელი კომუნისტის (ელბერფელდიდან) გასამართლება. მათ ბრალად სდებენ იმას, რომ 1923 წლის ნოემბერში მათ გაძარცვეს ფაშისტების იარაღის საწყობი, რომელიც მოთავსებული იყო ეკლესიაში. გარდა სახელმწიფო ღალატისა, მუშებს ბრალს სდებენ აგრეთვე „ქურდობაში" მათ აბრალებენ აგრეთვე ვინტოვკების ჩამოტანას საწყობიდან ბერლინში.

ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ მათ უნდოდათ ფაშისტური საფრთხის თავიდან აცდენა, მით უფრო, რომ ხელისუფლება არავითარ ზომებს არ ღებულობდა ფაშისტების იარაღის საწყობის ლიკვიდაციისათვის.

კელნის ზონის საკითხის გარშემო

ნაუენი. 15 იანვარი. ბავარიის ლანდტაგმა გამოიტანა საპროტესტო რეზოლუცია კელნის ზონის ევაკუაციის გადადების წინააღმდეგ.

პარიზი, 15 იანვარი. კრუპის ფირმის გამგეობა უარყოფს ზოგიერთი გაზეთების ცნობებს იმის შესახებ, კრუპის ქარხნებში თითქოს მზადდება იარაღი. გამგეობა აცხადებს, რომ კრუპის ქარხნებს [illegible] მეთვალყურეობას უწევს მოკავშირეების საგანგებო საკონტროლო კომისია, რომელიც იმყოფება ესსენში. გამგეობის ცნობით, დღემდე დანგრეულია ქარხნებში დაახლოებით 9,000 [illegible] დაზგა, წონით 9,000 ტონამდე.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ნორვეგია

საყოველთაო გაფიცვის მოლოდინში.

ოსლო, 14 იანვარი. ნორვეგიის გაზეთი „აფტენ პოსტენი" გადმოგვცემს ხმებს ნორვეგიაში მოსალოდნელ საყოველთაო გაფიცვის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ სტორტინგი არ დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას ნორვეგიის მუშათა პარტიის დაპატიმრებულ დეპუტატების განთავისუფლების შესახებ.

ავსტრალია

მუშების ხელში.

ლონდონი, 14 იანვარი. სიდნეიდან იუწყებიან, რომ ავსტრალიის ერთ-ერთ ნავთსადგურში დოკერებმა გამოაცხადეს გაფიცვა.

მუშათა პარტიამ წარჩინებულად გაიმარჯვა მუნიციპალურ არჩევნებში—სიდნეიში, სადაც ამჟამად ქალაქის თვითმმართველობა მუშების ხელშია.

მეზღვაურების მოძრაობა.

ლონდონი. 14 იანვარი. რეიტერის სააგენტოს მელბურნიდან (ავსტრალია) ატყობინებენ მეზღვაურთა კავშირის თავმჯდომარის უოლშის დაპატიმრების შესახებ; უოლშს ბრალად ედება პროპაგანდის გაწევა მეზღვაურებში გაფიცვის სასარგებლოდ.

იტალია

აკრძალეს მუშათა მოძრაობა.

რომი. 14 იანვარი. ჩრდილოეთ იტალიაში პრეფექტები განაგრძობენ კლუბების და მუშების სასპორტო ორგანიზაციების დახურვას. გენუაში დახურეს მაქსიმალისტების პარტიის სექცია.

ინგლისი

მეპატრონეების და მუშების ინტერესების შერიგება შეუძლებელია.

ლონდონი. 14 იანვ. სამთომადნო მუშების ფედერაციის გენერალურმა მდივანმა კუკმა, პასუხი გასცა რა მაღაროების მეპატრონეებს ბრალდებაზე იმის შესახებ, თითქოს მისი სიტყვები „მეტად უხეში და მტრული იყო", განაცხადა შემდეგი: „მაღაროების მეპატრონეების საყვედურები სასაცილოა, რადგან თვითონ ისინი იწყებენ კამპანიას სამუშაო დღის გადიდებისა და შრომის ხელფასის შემცირებისათვის. მაღაროების მეპატრონეების ამ კამპანიის გამო, ჩვენ, როგორც სამთომადნო მუშების ფედერაციის მდივანის, მოვალეობა გვაქვს მაღაროების მუშებს საქმის ნამდვილი ვითარება [illegible], რადგან ფედერაციის პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ შემოღებული იქნეს 6 საათის სამუშაო დღე. სამთომადნო მუშებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამართლიანი შრომის ხელფასი, და სამთომადნო მრეწველობაში მშვიდობიანობა არ დამყარდება იმ დრომდი, სანამ ისინი არ მიაღწევენ ამას".

პროვოკატორ ოკლადსკის პროცესი

13 იანვრის საღამოს სხდომა

ბრალმდებლის სიტყვა

ამხ. კონის შემდეგ სიტყვას ამბობს სახელმწიფო ბრალმდებელი ამხ. კრილენკო. ის აცნობს სასამართლოს ოკლადსკის მთელ მოღვაწეობას თებერვლის რევოლუციამდე, და ასურათხატებს, თუ როგორ ჩაიძირა სისხლში „ნაროდნაია ვოლიის" პარტია. თებერვლის რევოლუციის დროს კი ნივთიერად სავსებით უზრუნველყოფილი ბრძანდებოდა ოკლადსკი. ეს უზრუნველყოფა, რასაკვირველია, რევოლუციონერების სისხლით იყო მოპოვებული. პოლიციის დეპარტამენტიდან იღებდა პენსიათ 150 მანეთს და კიდევ ჰქონდა კერძო შემოსავალი 120 მანეთამდე. ლუგოვოიში მას ჰქონდა აგრეთვე 5 ოთახიანი სახლი. რევოლუციამ გაძარცვა ოკლადსკი ყველაფერ ამ სიკეთიდან. მაგრამ ოკლადსკის ყველაზე მეტად აწუხებდა ერთი რამ: ეშინოდა, რომ არ გამომჟღავნებულიყო მისი პროვოკატორობა.

ბოლო დრომდის ოკლადსკი მოხერხებულად იმალებოდა და თან მუშაობდა სხვადასხვა ქარხნებში. ამავე დროს კი იგი მუდამ მზად იყო, რომ განეახლებინა თავისი საზიზღარი მოქმედება.

კრილენკოს სიტყვით, საბჭოთა ხელისუფლებას არ ეშინია ოკლადსკის მსგავსი პირების, მაგრამ, რადგან არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ შემდეგისთვის მაინც არ ჩაიდენს რაიმე ბოროტებას, ამიტომ მოითხოვს უმაღლეს სასჯელს—დახვრეტას.

დამცველთა გამოსვლა.

ოკლადსკის დამცველები ოცეპი და ჩლენოვი არ უარჰყოფენ ბრალდებულის მძიმე დანაშაულს, მაგრამ აღნიშნავენ ბევრ შემამსუბუქებელ საბუთებს. ამიტომ საბჭოთა წყობილება სრულიადაც არ საჭიროებს, რომ ამ ნახევრად მკვდარი და ზნეობრივად კი სავსებით [illegible] პირის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნას უმაღლესი სასჯელი.

ბრალდებულის სიტყვა.

ბოლოს უკანასკნელი სიტყვა ეძლევა თვით ბრალდებულს. იგი თავის თავს დამნაშავეთ აღიარებს, მაგრამ არც თუ ისე უზომოთ, როგორც აქ ხატავენ ბრალმდებლები. „ჩემი დანაშაულობა დამთავრდა 1890 წელს. მე რომ [illegible] 1880 წელში, მაშინ მე დამრჩებოდა პატიოსანი რევოლუციონერის სახელი, როგორც ვიყავი მანამდის. მაგრამ სამწუხაროდ ეს არ მოხდა. მაინც დიდ მნიშვნელობას ნუ აძლევთ ჩემს მოღალატეობასო"!—ამთავრებს ოკლადსკი.

სასამართლო გადის სათათბიროთ.

განაჩენი.

უმაღლესმა სასამართლომ ოკლადსკის მიუსაჯა დახვრეტა და მთელი ქონების კონფისკაცია. მაგრამ იღებდა რა მხედველობაში, ბრალდებულის ხანდაზმულობას და აგრეთვე რომ დანაშაული დიდი ხნის წინეთ არის ჩადენილი—დახვრეტა შეცვლილია 10 წლის დაპატიმრებით და სასტიკი იზოლაციით.

განაჩენი საბოლოოა და არავითარ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მასწავლებელთა საკავშირო ყრილობა

საბჭოთა აღმშენებლობა და მასწავლებლობის ამოცანები

ამხ. რიკოვის მოხსენება

ყრილობის 12 იანვრის საღამოს სხდომაზე

მოსკოვი, 15 იანვარი. მასწავლებლობის საკავშირო ყრილობის 12 იანვრის სხდომაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. რიკოვი:

პირველი შეხვედრა.

„ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება და პარტია ეს პირველად პირველ საკავშირო ყრილობაზე, რომ ელაპარაკება მასწავლებლობის მასას, რომელიც მჭიდრო თავისი მუშაობით დაკავშირებულია ას მილიონიან გლეხთა მასასთან. ჩემის აზრით ამას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ჩვენი საბოლოო მიზანი.

რათა გავიგოთ საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები, საჭიროა გამოვიდეთ იმ საბოლოო მიზნებიდან, რომელთაც ისახავდა ხალხი ოქტომბრის გადატრიალების დროს და რომელიც უნდა განახორციელოს საბჭოთა მთავრობამ და საბჭოთა სახელმწიფომ.

რით განსხვავდება ჩვენი სახელმწიფოს საბოლოო მიზნები იმ მიზნებისაგან, რომელსაც ისახავენ დანარჩენი მთავრობები მთელ ქვეყანაში? ეს განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა ააშენოს სულ ახალი, კაცობრიობის ისტორიაში არ ნახული, სოციალისტური საზოგადოება.

მასწავლებლობა და ოქტომბრის რევოლუცია.

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, როდესაც მოწინავე მუშათა კლასმა წამოაყენა კაცობრიობის ისტორიაში ეს უდიდესი ამოცანა, რათქმა უნდა, ხალხის მასებს შორის იყვნენ ისეთი ფენები, რომლებიც ამას სთვლიდენ ან განუხორციელებლად, ან თავიანთი პირადი ინტერესების წყალობით, მტრულად იყვნენ განწყობილნი თვით რევოლუციისადმი.

მასწავლებლობა ამ პირველ პერიოდში ყოველთვის ჩვენთან არ იყო. ეს მისი ბრალი არ არის, მაგრამ ეს მისი უბედობაა, და ამით დამტკიცდა ცხოვრებით იმ ფენის ჩამორჩენილობა, რომელთანაც ყველაზე მეტად და ყველაზე ძლიერად იყო დაკავშირებული მასწავლებლობა. გლეხობამ და, განსაკუთრებით, [illegible] კავშირი დაიჭირეს მუშებთან და მხარი დაგვიჭირეს ოქტომბრის გადატრიალების დროს ომის შეწყვეტის და მემამულეთა მიწად-მფლობელობის მოსპობის ნიადაგზე. გლეხობა მხარს გვიჭერს დღემდისაც, მაგრამ კომუნისტურ წესწყობილების განხორციელებისათვის ის ჯერ კიდევ მზად არ არის. მრავალ წლების განმავლობაში გლეხობა დაუახლოვდება კომუნისტურ საზოგადოების მოწყობას. და ინტელიგენცია, რომელიც დაკავშირებული იყო გლეხობასთან, გამოხატავდა ამ მოუმზადებლობა სოციალიზმის ორგანულ ელემენტებისათვის, მხედველობიდან უშვებდა იმ გარემოებას, რომ თვით გადატრიალების და საბოლოო მიზნების მიღწევის შორის არსებობს ხანგრძლივი მუშაობის და კულტურულ სამეურნეო მიღწევათა გრძელი და ძნელი გზა.

მასწავლებლობის როლი სოციალისტურ აღმშენებლობაში.

დღევანდელი ყრილობა შეიძლება გახდეს ისტორიულ საფეხურად კულტურულ აღმშენებლობის გზაზე სოფლად.

სოციალიზმისაკენ მუშათა კლასს არ შეუძლია წავიდეს მარტო. მან უნდა დაიჭიროს კავშირი გლეხთა მასასთან. მასწავლებლობის მნიშვნელობა მუშათა და გლეხთა ამ კავშირის გამტკიცებასა და განვითარებაში ძალიან დიდია, ვინაიდან მასწავლებლობას უფრო უკეთესად, ვიდრე სხვა ვინმეს შეუძლია დააკავშიროს ჩვენი საერთო სოციალისტური ამოცანები გლეხობის კონკრეტულ ინტერესებთან, ვინაიდან სოციალიზმთან გლეხობის დაახლოვება შეიძლება მხოლოდ მისი ცხოვრების გაუმჯობესებით, სოციალისტური მშენებლობის მაგალითით მისი ჩამორჩენილობის და უკულტურობის მოსპობით. და ეს იმიტომ, რომ გლეხობა ეკუთვნის ისეთ კლასებს, რომელთაც ყველაზე ნაკლებად ესმით განყენებული მსჯელობა, ვინაიდან თავისი ცხოვრების მიხედვით ის უფრო ადვილად ითვისებს კონკრეტულ ფაქტებს. ახალ სოციალისტურ საზოგადოების იდეოლოგიის გლეხობისათვის გადაცემაში მის ინტერესების და გლეხურ ცხოვრების წვრილმანების და სასოფლო მეურნეობის მშენებლობის მიხედვით მასწავლებლობის როლი სრულიად განსაკუთრებულია.

მე დარწმუნებული ვარ, რომ მასწავლებელთა დღევანდელი ყრილობა იქნება ახალი მიჯნა და მას მოჰყვება კულტურულ და საბჭოთა მუშაობის ახალი პერიოდი.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა.

საერთაშორისო პოლიტიკაზე თქვენ მოისმენთ ჩიჩერინის სპეციალურ მოხსენებას. ჩიჩერინი გააშუქებს მთავარ საკითხებს და მიღწევებს ჩვენს საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში. მე მინდოდა მასწავლებლობის ყრილობის წინაშე შევხებოდი ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის საერთო საკითხებს.

დღევანდელ მომენტში ჩვენ გვიცნო დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ. მაგრამ მე უნდა გავაფრთხილო ყრილობა, რათა არავინ იფიქროს, რომ თუ ჩვენ გვიცნობენ კაპიტალისტური სახელმწიფოები, ამით ისინი ხდებიან ჩვენი მეგობრებად და სცნობენ ოქტომბრის გადატრიალების მიზანშეწონილებას და ჩვენი ახალ სოციალისტურ საზოგადოების აღმშენებლობას.

ეს ასე არ არის და არც შეიძლება იყოს, საქმე საბჭოთა კავშირი წარმოადგენს ერთად ერთ სახელმწიფოს მსოფლიოში, რომელიც სცდილობს ააშენოს საზოგადოება ბურჟუაზიის და მემამულეების გარეშე.

მხოლოდ შინაური ძალებით.

საბჭოთა კავშირი დღემდის იმყოფება ფინანსიურ ბოიკოტის მდგომარეობაში, როგორც თქვენ იცით, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს არ მიუღია არც ერთი კაპეიკი სესხად და იგი არის ერთად ერთი ქვეყანა, რომელიც ომის შემდეგ აღადგენს თავის მეურნეობას მხოლოდ თავის შინაურ ძალებზე დაყრდნობით. ამით აიხსნება ჩვენი მეურნეობის აღდგენის შედარებითი ნელი ტემპი და გლეხების და მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების შედარებითი სიძნელე, რომელსაც ჩვენ ვხედავდით ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენი გამარჯვება სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკების დროს, რაც გამოიხატა საგარეო ურთიერთობათა განვითარებაში და პოლიტიკურ ცნობაში არის შედეგი ერთი მთავარი მიზეზის: აღორძინებელი მუშაობისა ჩვენი კავშირის შიგნით მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის ნიადაგზე.

სასოფლო მეურნეობის აღორძინება.

საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა პირველ ყოვლისა, რათქმა უნდა, განისაზღვრება გლეხობის ეკონომიურ მდგომარეობით. დაწყებული 1915 წლიდან 1922 წლამდე ნათესის არე განუწყვეტლივ მცირდებოდა. საკითხი იმის შესახებ, რათა შეგვეჩერებინა ნათესების შემცირების პროცესი და მიგვეღწია გარდატეხისათვის, წარმოადგენდა მთელი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხს. ამ გარდატეხას ჩვენ მივაღწიეთ 1923 წელს, როდესაც ნათესების არემ იწყო გადიდება. 1924 წელში ნათესების არე კიდევ უფრო გაიზარდა 76 მილ. დესეტინამდე. ომის წინა დროსთან შედარებით ეს შეადგენს 88 პროც. მიუხედავად მნიშვნელოვან მოუსავლიანობისა, შემოდგომის ნათესი მთელ კავშირში 5 პროც. გაიზარდა, ხოლო მოუსავლიან ადგილებში, მთავრობის მიერ თავის დროზე გაწეულ დახმარების წყალობით, 10 პროცენტით.

კიდევ უფრო გაიზარდა სპეციალური კულტურის ნათესების არე. გაიზარდა მესაქონლეობა, სწარმოებს აღმდგენლობითი პროცესი მესაქონლეობის დარგში.

ამ ცვლილებებმა გამოიწვია სასოფლო მეურნეობის პროდუქციის ზრდა და ეს გახდა გლეხობის სყიდვითი უნარიანობის გადიდების ფაქტორათ.

ჩვენი უახლოესი მიზნები სასოფლო-მეურნეობაში.

უახლოეს პერიოდისათვის, როცა მასიური ხასიათი აქვს წერა-კითხვის უცოდინარობას გლეხებს შორის და სასოფლო მეურნეობა უაღრესად ჩამორჩენილია,—ლაპარაკი შეიძლება არა სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ ხასიათზე, არამედ იმაზე, რომ სახელმწიფოს ყოველმხრივი და ენერგიული დახმარებით, გლეხებს შორის კულტურული მუშაობის გაფართოებით აღვადგინოთ სასოფლო მეურნეობა რაც შეიძლება ჩქარი ტემპით წლიდან წლამდე. ამაში მდგომარეობს ერთ-ერთი უდიდესი ამოცანა, რომელიც სდგას მასწავლებლობის წინაშე.

გლეხობის სიმპატია ჩვენი პარტიისა და საბჭოების მიმართ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ მთავრობა, საბჭოთა ინტელიგენცია და ჩვენი მრეწველობა თავის დროზე აღმოუჩენენ ფართო დახმარებას გლეხობას თავისი მეურნეობის აღდგენის საქმეში.

ჩვენი პარტიის, საბჭოების მთელი პოლიტიკა უკანასკნელ დროს მდგომარეობდა სწორედ ამ ამოცანის გადაჭრაში, იმ საკითხის გადაჭრაში, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული იმისათვის, რომ გლეხობამ ჩქარა დააღწიოს თავი გაჭირვებას, რომ გლეხობამ იგრძნოს, რომ საბჭოთა მთავრობის და მუშების დიქტატურის დროს იგი უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ის იყო წინად.

ფულის რეფორმა.

რომ მიგვეღწია ამ დარგში რაიმე შედეგებისათვის, ჩვენ წინასწარ უნდა გაგვეხორციელებია მეტად მნიშვნელოვანი რეფორმა — ფულის რეფორმა. ფულის რეფორმის გატარება იყო აუცილებელი, სავალდებულო წინასწარი პირობა იმისათვის, რომ საქონლის გაცვლა-გამოცვლის ნიადაგზე შესაძლებელი ყოფილიყო გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესება. ამჟამად ეს რეფორმა დამთავრებულია.

ფასები ქალაქის და სოფლის ნაწარმოებზე

მეორე უძნელესი ამოცანა, რომელიც დასმული იყო ჩვენ წინაშე, ეს იყო ფასების ნორმალური შეფარდების მიღწევა ქალაქის და სოფლის ნაწარმოებზე. თუ შევადარებთ ფასების განსხვავებას სასოფლო მეურნეობის პროდუქტებსა და ქალაქის ნაწარმოებს შორის ერთი წლის წინ იმასთან, რასაც ჩვენ მივაღწიეთ ამჟამად, შეიძლება ითქვას, რომ ეს ამოცანა სავსებით გადაჭრილია. ფასები მრეწველობის ნაწარმოებზე ამჟამად გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ერთი წლის წინ იყო.

მიღწევები მრეწველობაში

რა შედეგებს მივაღწიეთ ჩვენ მრეწველობის განვითარების დარგში? მრეწველობის მდგომარეობა უკანასკნელი წლის განმავლობაში ახასიათებს დიდი განვითარება და მისი პროდუქციის გადიდება. მრეწველობის საერთო გაფართოება გასული წლის განმავლობაში უდრის 30 პროცენტს. ომამდე არსებულ დონესთან შედარებით მრეწველობის პროდუქცია შეადგენს დაახლოვებით 50 პროცენტს, ხოლო ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისში ეს პროდუქცია შეადგენდა ომამდე არსებულის 20 პროცენტს. საფეიქრო მრეწველობაში, რომელიც უფრო ახლო სდგას სასოფლო მეურნეობის მოთხოვნილებებთან, 1921—22 წელს დამზადებული იყო 302 მილ. მეტრი ბამბის ქსოვილი 1923—24 წლის—836 მილ. მეტრი. ჩვენ უახლოვდებით იმ პერიოდს, როცა წარმოებების და მრეწველობის დარგების მთელი რიგი დატვირთული იქნება სავსებით, როცა პრაქტიკულად დაისმება საკითხი ახალი ფაბრიკების და ქარხნების აშენების შესახებ, ჩვენი მრეწველობის გაადიდების ახალი ტექნიკური ბაზისის შექმნის შესახებ.

ჩვენი ბიუჯეტი

ეხლა მოკლედ ჩვენი ბიუჯეტის შესახებ. წელს ჩვენ გვაქვს უდეფიციტო ბიუჯეტი. 1922—23 წლების ბიუჯეტი უდრიდა 1.300 მილიონ მანეთს, 1923—24 წ.—1.900 მილიონს, 1924—25 წ.—ბიუჯეტი უკვე უდრის 2.274 მილიონ მანეთს. ბიუჯეტის მიხედვით იზრდება ხარჯები სასოფლო-მეურნეობაზე: 59 მილიონი მანეთი შარშან, 100 მილიონზე მეტი წელს.

რას ნიშნავს ბიუჯეტის ეს ზრდა? ბიუჯეტის ზრდა ნიშნავს ჩვენი მეურნეობის და პირველ რიგში სასოფლო-მეურნეობის სწრაფად ზრდას. არასოდეს 7 წლის განმავლობაში ჩვენ არ გვქონია ჩვენი მეურნეობის აღდგენის უფრო უკეთესი პერსპექტივები, ვიდრე მასწავლებელთა პირველ საკავშირო ყრილობის მომენტში (ტაში).

საბჭოების გამოცოცხლება.

ყველა იმ საკითხებიდან, რომლებიც დღეს დასმულია დაბალ საფეხურის საბჭოთა აპარატის (სასოფლო და სათემო საბჭოების) წინაშე, ყველაზე მნიშვნელოვანია პირველ ყოვლისა საკითხი რევოლუციონური კანონიერების და საბჭოების მუშაობის გაცხოველების შესახებ.

სასოფლო, სათემო, სამაზრო და საგუბერნიო საბჭოები უნდა გადავაქციოთ ისეთ ორგანოებათ, რომლებიც უნდა წარმოადგენდენ მშრომელთა უმრავლესობის ორგანიზაციას, უნდა ჩავაბათ საბჭოთა მუშაობაში რაც შეიძლება მეტი გლეხები, მუშები და ინტელიგენცია, რათა მუშებს და გლეხებს შეეძლოთ მოქმედება, მოაწყონ ახალი ცხოვრება ახალ საფუძვლებზე და შექმნან ახალი, საბჭოთა წესწყობილება.

რევოლუციონური კანონიერება

საბჭოების გამოცოცხლება არის წინასწარი პირობა სოფლად კანონიერების აღსადგენად. დაბალ საფეხურის ორგანიზაციებში მრავალ ბოროტმოქმედებას აქვს ადგილი. მაგალითების მოყვანა ზედმეტია. ამას წინად საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ გამართულმა თათბირმა საბჭოთა კავშირის ცაკთან, მიიღო დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია: რევოლუციონური კანონიერების განსამტკიცებლად საჭიროა სისტემატიური ბრძოლა ადმინისტრაციულ თვითნებობასთან, ბიუროკრატიზმთან, მექრთამეობასთან, მოქალაქეებისადმი უხეშად და უყურადღებოდ მოპყრობასთან და სხვა ამგვარ ბოროტმოქმედებებთან. აუცილებლად საჭიროა სპეციალური ორგანიზაცია რომელიც პროკურატურის ორგანოებს აცნობებს სოფლად, რათა ადგილობრივ სოფლებში მიიღონ მცხოვრებთა საჩივრები ბიუროკრატიზმის, ადმინისტრატიულ თვითნებობის და სხვ. შესახებ. იმისათვის, რათა უკანონო მოქმედებანი შეუმჩნევლად არ დარჩეს სასამართლოებში, თათბირმა საჭიროთ აღიარა მოსამართლეთა შემადგენლობაში შეყვანილ იქნას უპარტიო გლეხობა. გაძლიერებული იქნას სასამართლოში გლეხკაცთა როლი და მიღებული იქნას მთელი რიგი სხვა ზომისა.

მასწავლებლების ნივთიერი მდგომარეობა.

მასწავლებლობის მატერიალურ მდგომარეობის შესახებ საქმე შემდეგნაირად არის:

მასწავლებლების გასამრჯელოს მინიმუმად კავშირში დაწესებულია 28 მანეთი. ჩვენ ვეცდებით ამ მინიმუმს გასადიდებლათ და ამისათვის გამოვიყენებთ ყოველგვარ საშუალებებს. რასაც კი გამოვნახავთ რესპუბლიკის რესურსებში. მუშავდება კანონი მასწავლებელთა პენსიების შესახებ, რომლის თანახმად მასწავლებლობას, რომელსაც უმსახურნია საერთოთ 25—30 წლამდე და აქედან 5 წელიწადი რევოლუციის შემდეგ, ეძლევა პენსია 20—25 მანეთი.

სულ სახალხო განათლების საჭიროებისათვის შარშან გადადებული იყო 220 მილიონი, წელს განათლებისათვის ნავარაუდევია 265 მ. მანეთი.

ამ წლიდან დაწყებული მესამე ფრონტი, განათლების და კულტურის ფრონტი წარმოადგენს უმთავრეს ფრონტს. შემდეგი ჩვენი სიარული სოციალისტურ საზოგადოებისაკენ შეფერხდება, თუ ჩვენ არ მივაღწიეთ მაქსიმალურ წარმატებას სახალხო განათლების საქმეში და არ ვაწარმოებთ გაბედულ ბრძოლას ჩამორჩენილობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით, სოფლათ.

მასწავლებლობა მოვიდა აქ, როგორც თანასწორუფლებიანი მონაწილე სოციალისტურ აღმშენებლობაში. (ტაში). ჩვენ ვეუბნებით ყველა მასწავლებლებს, ვინც მუშაობდა, მუშაობს და იმუშავებს საბჭოთა ხელისუფლების და კომპარტიის პლატფორმაზე—კეთილი იყოს თქვენი მოსვლა. (ტაში).

კამათი ამხ. ზინოვიევის მოხსენების გამო*)

მოსკოვი, 15 იანვარი. მასწავლებელთა ყრილობის დილის სხდომაზე 14 იანვარს გრძელდებოდა კამათი ზინოვიევის მოხსენების გამო.

ლევინი (ჩრდილოეთ კავკასია) ამბობს: „ეჭვს გარეშეა, რომ ამ ყრილობის შემდეგ ყველა საბჭოთა მასწავლებელი უბრალო სკოლის მუშაკებიდან გახდებიან ჭეშმარიტ სახალხო მასწავლებლებად—საზოგადოებრივ მოღვაწეებად. არა შიშის, არამედ სინდისის ქვეშ განახორციელებენ ახალი საბჭოთა სკოლის იდეას, აღზრდიან კომუნისტური მსოფლმხედველობის მქონე ახალ ადამიანებს—მომავალი დიადი კომუნისტური საზოგადოების წევრებს".

ხტამენკო (ბელორუსია) ლაპარაკობს ბელორუსულ ენაზე. ის ამტკიცებს, რომ მასწავლებლობა 1917 წელს არ იყო პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგი. ბელორუსიის მასწავლებელთა ყრილობამ ბელორუსიის მასწავლებლების სახელით განაცხადა, რომ საბჭოთა მასწავლებლის გზა არ განსხვავდება პროლეტარიატის გზისაგან.

რომანინ (მარიის ოლქ) აცხადებს, რომ მარიის ოლქის მასწავლებლობას განსაკუთრებულ ძნელ პირობებში უხდება მუშაობა. ჩამორჩენილი ხალხი მოელის დახმარებას საბჭოთა კავშირის უფრო შეგნებულ, კულტურულ ხალხისაგან.

ამხ. ზინოვიევის სიტყვა

შემდეგ ყრილობა ისმენს ზინოვიევის საბოლოო სიტყვას. შემდეგის წინადადება, რომელსაც ყრილობა ერთხმად იღებს,—მასწავლებლობის საკავშირო ყრილობის სახელით რუსეთის კომპარტიის ცეკას მიეძღვნას წითელი დროშა.

მასწავლებლობა პარტიის ხელმძღვანელობით იმუშავებს

წითელი დროშა რ. კ. პ. ც. კ-ტს მასწავლებლებისაგან

მასწავლებლობასა და რუსეთის კომპარტიას შორის უთანხმოება არ არსებობს.

მოსკოვი. 15 იანვარი. 14 იანვარს დღის 12 საათზე მასწავლებლობის სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები გაემგზავრენ ლენინის საფლავზე რუსეთის კომპარტიის ცეკასათვის წითელი დროშის გადასაცემად.

ყრილობის სახელით სიტყვას ამბობს ლიტვინჩუკი, რომელიც ლაპარაკობს:

„მოკავშირე რესპუბლიკების მასწავლებლობა და განათლების მუშაკები უძღვნიან რუსეთის კომპარტიის ცეკას დროშას ნიშნად იმისა, რომ მასწავლებლობასა და რუსეთის კომპარტიის შორის არ არსებობს უთანხმოება. დროშის ჩაბარების დროს ჩვენ გვინდა რათა ეს ჩვენი სიტყვები გაიგონოს არა მარტო რუსეთის კომპარტიამ, არამედ მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიამაც. მასწავლებლობამ არ იცის სხვა გზა, გარდა იმ გზისა, რომელიც ლენინმა გვიჩვენა. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას

---

*) ამხ. ზინოვიევის სიტყვა რედაქციას არ მიუღ

კომპლექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა ხელმძღვანელს".

აზერბეიჯანის მასწავლებლობის სახელით თათრულ ენაზე სიტყვას ამბობს მასწავლებელი ქალი **ზაარა ალიბეკოვა**, რუსულ ენაზე მასწავლებელი **გუსეინოვი**. „რუსეთის კომპარტია,— ამბობს გუსეინოვი,— მშვიდობიანობას ამყარებს ჰალარა აღმოსავლეთში. აზერბეიჯანის მასწავლებლობა, უძღვნის რა თავის დროშას რ. კ. პ. ცეკას, ფიცს სდებს მთელი თავისი ძალები შესწიროს ახალ სკოლის მშენებლობას და არ ჩამორჩეს მოწინავე პროლეტარებს და გლეხებს უკეთეს ცხოვრებისათვის ბრძოლაში. აზერბეიჯანი მტკიცედ დაიჭერს ხელში კომუნიზმის წითელ დროშას და დაიცავს აღმოსავლეთის კარებს".

შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობენ ჩრდილოეთ კავკასიის, შუააზიის რესპუბლიკების და უკრაინის მასწავლებლობის წარმომადგენლები.

ამხ. მოლოტოვის საპასუხო სიტყვა

საპასუხო სიტყვას რუსეთის კომპარტიის ცეკას სახელით ამბობს მოლოტოვი: „ლენინის აღთქმანი—მთელი ჩვენი მუშაობის, მუშათა და გლეხთა მასებს შორის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის საფუძველია. დროშები, რომელსაც დღეს რ. კ. პ. ცეკას უძღვნიან, ბევრ რამეს ავალებს მასწავლებლობას. დღეს, მასწავლებლობიდან გამოვიდნენ ახალი რაზმები ცხოვრებაში ლენინის აღთქმათა გასატარებლად. ეს აღთქმები გასცილდება საბჭოთა კავშირის საზღვრებს და განხორციელებული იქნებიან მთელ მსოფლიოში, გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მასების კავშირის მასწავლებლობასთან რ. კ. პ. დროშის ქვეშ".

მისასალმებელ სიტყვების დასრულების შემდეგ ყრილობის დელეგატებმა ინახულეს ლენინის აკლდამა.

14 იანვრის საღამოს სხდომა

საფრანგეთის განათლების მუშაკთა სალამი

მოსკოვი. 15 იანვ. მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობის 14 იანვრის საღამოს სხდომაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდა საფრანგეთიდან სპეციალურად ჩამოსული საფრანგეთის განათლების მუშაკთა პარიზის ინტერნაციონალის აღმასკომის წარმომადგენელი—გეიზენბერგი. ყრილობა მქუხარე ტაშით შეხვდა გეიზენბერგის გამოსვლას. მან განაცხადა:

„დღეს უკვე ფაქტათ გახდა ის, რასაც ჩვენ დასავლეთ ევროპაში შეუძლებლათ ვთვლიდით: შუა ზამთარში აქ, მოსკოვში, იკრიბება მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს 1.600 დელეგატი. ამ ყრილობამ შეიმუშავა გზები იმისათვის, რომ სკოლა გახდეს მუშების და გლეხების განთავისუფლების იარაღათ, მასწავლებლები კი—საბჭოთა ხელისუფლებას კულტურის გამტარებლებათ მიყრუებულ კუთხეებში". დასასრულ **გეიზენბერგმა გამარჯვება უსურვა საბჭოთა მასწავლებლობას.**

მასწავლებლობა და პროფესიონალური მოძრაობა

გეიზენბერგის გამოსვლის შემდეგ განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას თავმჯდომარემ კოროსტელევმა თავის მოხსენებაში აღნიშნა:

„მიუხედავათ იმისა, რომ კავშირი ხედავდა განათლების მუშაკთა მძიმე მატერიალურ მდგომარეობას, ამ უკანასკნელის გაუმჯობესება მაინც შეუძლებელი გახდა, რადგან კლასის ინტერესები უფრო მაღლა იდგა: საჭირო იყო ტრანსპორტის და ინდუსტრიის აღდგენა და კიდევ ბევრი რამ.

აი კავშირის მუშაობა ციფრებში: **1922 წელში განათლების მუშაკი ჯამაგირს იღებდა 11 მან. 48 კაპ., ახლა კი ის იღებს 25 მანეთს. 1922 წელში განათლების მუშაკი სოფელში იღებდა 6 მან. 20 კაპ., 1924 წელში კი—24 მან. 57 კაპ.**, ე. ი. 387 პროც. მეტს. შემდეგ გამოცემული იყო მთელი რიგი დეკრეტები, რომლებიც აწესრიგებდა მასწავლებლობის უფლებრივ ცხოვრებას. ეხლა იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი დათხოვნილი იქნება სამსახურიდან არდადეგებამდი, ის მიიღებს ჯამაგირს არდადეგების დროისთვისაც. აკრძალულია მასწავლებლების ხშირათ გადაყვანა ერთი ადგილიდან მეორეზე, რაც აქამდი ხშირათ ხდებოდა. დასასრულ კოროსტელევმა აღნიშნა, რომ საჭიროა მასწავლებლობის მთელი მასის ჩაბმა აქტიურ პროფესიონალურ მუშაობაში.

დაკავშირების საღამოები

საღამოს, ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ, ჯგუფებათ დაყოფილი დელეგატები გაემართნენ განათლების ცენტრალურ რაიონულ სახლებში და კომკავშირის კლუბებში. გამართული იყო დაკავშირების საღამოები. საღამოებზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ დელეგატები და რაიკომების, ფაბრიკების, ქარხნების, ადგილკომების და პიონერების წარმომადგენლები, რომლებმაც აღნიშნეს ის, რომ საჭიროა ქალაქის და სოფლის კულტურული ძალების შეერთებული მუშაობა განათლების ფრონტზე.

საბჭოთა სასამართლო

ბოროტმოქმედი კოოპერატორი

12 იანვარს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ჩანგიშვილის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების გ. ნუცუბიძის და ვ. ხუტუბის პროკურორის თანაშემწე გრიგოლიას მონაწილეობით გაარჩია უმანსკის საქმე.

ხსენებული უმანსკი მუშკოოპის გამგეობის მიერ დანიშნული იყო, როგორც საიმედო კაცი მუშკოოპის მესამე მაღაზიის გამგეთ და შემდეგ მე-9-ე მაღაზიის გამგეთ. ის დიდი ნდობით სარგებლობდა გამგეობის თვალში, მაგრამ მან ეს ნდობა გამოიყენა ბოროტად პირადი სარგებლობისათვის. მაღაზიაში გამგეთ ყოფნის დროს ის არ ასრულებდა საერთო სავალდებულო დადგენილებებს; როცა აკრძალული იყო საქონლის ნისიათ გაცემა მოსამსახურეებზე, ის მაინც განაგრძობდა საქონლის ნისიათ გაცემას, რადგანაც ეს ხელსაყრელია პირველ ყოვლისა მისთვის. საქონლის ნისიათ გაცემას მოსამსახურეებზე არ ჰქონდა არავითარი სისტემა, მეთვალყურეობა. უმანსკიმ პირადათ თავის თავსაც გაუხსნა ფართო კრედიტი: მიჰქონდა საუკეთესო საქონელი დიდი რაოდენობით ანგარიშებში გაუტარებლად, შემდეგ მისი სხვა ადგილზე გადაყვანის დროს მოხდა მაღაზიის რევიზია, რის დროს მაღაზიას დააკლდა 569 მანეთის საქონელი, რომლითაც თავი მოიმარაგა უმანსკიმ.

განაჩენი.

სასამართლომ უმანსკისადმი წაყენებული ბრალდება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 108 და 109 მუხლებში, დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა ბრალდებულს 2 წლით დაპატიმრება თავისუფლების აღკვეთით. უკანასკნელი ამნისტიის ძალით სასჯელის მოხდის ვადა ბრალდებულს გაუნახევრდა. ბრალდებულს აეკრძალა საპასუხისმგებლო ადგილის დაჭერა 5 წლის ვადით.

ხელოვნება

მსახიობთა ახალგაზრდობის წარმოდგენა

ოთხშაბათს, 14 იანვარს, სახელმწიფო ოპერაში ქართველ მსახიობთა ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილი იქნა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"—ა. ცაგარელისა და „რაც არ მერგება, არ შემერგება"—გუნიასი.

წარმოდგენის წინ მსახიობმა ნინო ჩხეიძემ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ქართულ თეატრის 75 წლის არსებობის შესახებ. ეს სიტყვა რამდენიმედ მსახიობთა ახალგაზრდობის დეკლარაციასაც წარმოადგენდა. იქ გამოთქმული იყო მათი მტკიცე სურვილი და გადაწყვეტილება რომ დაუღალავათ და ერთგულად ემსახურონ ქართულ თეატრალურ ხელოვნებას.

შემდეგ დაიწყო წარმოდგენა.

საერთოდ ჩვენ მსახიობებს განსაკუთრებით ემარჯვებათ ჩვენი ყოფა-ცხოვრების გამომსახველ პიესების დადგმა და თამაშობა.

ამ დღესაც ჩვეულებრივის სიხალისით ჩაატარეს ორივე პიესა, რომელთა ტიპებიც წლით-წლობამდის საუკეთესოდ აქვთ შესისხლხორცებული ჩვენ ნაცად მსახიობებს.

ხალისიანი პიესების მიწოდებით გულწრფელად ნასიამოვნები რჩება აუდიტორია, მაგრამ ერთი მაინც შეარად უნდა ითქვას ამხანაგების საყვედურად:

მათ რეპერტუარს ძალიან დახავსებული ელფერი აქვს და ამ დოვლათით დიდხანს არ შეიძლება საზოგადოების კვება. აუცილებლად საჭიროა მისი განახლება. წინააღმდეგ შემთხვევაში უეჭველად დაშლება ის მრავალრიცხოვანი აუდიტორია, რომელიც ახასიათებს მათ პირველ წარმოდგენებს.

ლელი.

— **სახელმწიფო ოპერაში** დღეს წარმოდგენილი იქნება „წითელი მამლი".

— **რუსთაველის თეატრში** დღეს გაიმართება წარმოდგენა თურქულ ენაზე.

— **„ქარიშხლის წინა დღეებში".** 20 იანვარს, ახალ კინო „აპოლოში" (სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში), მთავრობის, პარტიის, პრესის და სხვა წარმომადგენლების თანდასწრებით მოხდება სურათის „ქარიშხლის წინა დღეებში"-ს სასინჯი ჩვენება. სურათს საჯაროდ აჩვენებენ 22 იანვარს.

— **საბავშო დილა.** კვირას, სახელმწიფო ოპერის თეატრში დილით ბავშვებისათვის, პრინის სტუდია გამართავს საბალეტო დილას.

— **ნატ. მალშტეინის და რეგინა გოროვიცის** კონცერტები დაიწყება ამ დღეებში სახ. კონსერვატორიაში.

— **ცირკში** დღეს გაიმართება წარმოდგენა „დუროვის რკინის გზა".

— **უმუშევარ მსახიობთა შრომის კოლექტივი** „ტარდში" ამჟამად მუშაობს 38 მსახიობი.

— **მოძრავი კინო.** შორაპნის მაზრის აღმასკომმა გადასწყვიტა შეიძინოს კიდევ მეორე კინო-აპარატი მოძრავი კინოს მოსაწყობად.

— **ლევ. მეტრეველმა** დასწერა ოთხმოქმედებიანი პიესა „საყვირიონი", ფონი—იარების ხანა.

დღეს კინოებში:

— არფასტრო—„ოლივერ ტვისტ",
— აპოლო—„გრაფ მონტე-კრისტო"
— თვითმფრინავი—„ასიშა"
— მინიონი—„სიკვდილის მხარეში"
— სოლეი—„ეჭვის საცოლე"
— თახისი—„სერამის ციხე".

ქრონიკა

სამძიმარის დეპეშა.

— **ს. ა. ლ. კ. კავშირის ქუთაისის მაზრკომი** ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს საქართველოს კომკავშირის სახელოვან მეთაურის, პატიოსან კომკავშირელის, ყველასათვის საყვარელ **ამხ. დათიკო კაპანაძის** ტრაგიკულად დაკარგვის გამო.

ქუთაისის მაზრკომი.

—

ექიმი ალ. გედევანიშვილის 40 წლის მოღვაწეობის იუბილე

— **ახლო ხანში** გაიმართება იუბილე ექიმ ალ. გედევანიშვილის მისი საექიმო პედაგოგიური და სანიტარულ-განმანათლებელ დარგში 40 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ. იუბილეს მართავს ქალ. ჯანმრთელობის განყოფილება და მასთან არსებული ჟურნალ „საუბჯე"-ს სარედაქციო კოლეგია.

—

— **ქალაქის მუზეუმი და არქივი.** მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვით ქ. აღმასკომმა ქ. მუზეუმის და არქივის შესანახათ გადასდო 2,572 მან.

— **ტრამვაის მუშების ჯამაგირებისათვის** მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვით ქ. აღმასკომმა გადასდო 577,050 მან.

— **ცეცხლის მქრობელ რაზმის** შენახვა მიმდინარე წელში დაჯდება 131,732 მ. და 80 კ.

— **საქონლის ჭირის წინააღმდეგ** საბრძოლველად ქ. აღმასკომმა გადასდო 3,249 მ. 50 კ.

— **ამინდის გამოსარკვევი აპარატი.** შრომის დაცვის განყოფილება შეუთანხმდა საზოგადოება „ჩუნს" რომ მან ფოთის ტრანსპორტის მუშებისათვის შეიძინოს „გელმან ბოსის" ამინდის გამოსარკვევი აპარატი.

— **თვიურის შემოსავალი.** შრომის სახ. კომისარიატის დადგენილებით თებერვალში გაზრახული უმუშევართა სასარგებლოთ ჩატარებულ თვიურის შემოსავალის 15 პროცენტი (100 მ-დან 15 მანეთი) გადაიდება უმუშევარ მოზარდთა სახლის სასარგებლოთ, დანარჩენი გადაეცემა შრომის კოლექტივებს.

— **მოზარდთა სახლი აჭარაში.** საქ. შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა შუამდგომლობა აღძრას აჭარის ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველოს წინაშე აჭარის უმუშევარ მოზარდთათვის სახელოსნო-სახლის გახსნის შესახებ.

— **ჩაქვის მუშებისთვის.** საქ. შრომის სახ. კომისარიატმა სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილებას დაავალა მოაგვაროს ჩაქვის სახ. მამულის მუშებისათვის ხელფასის დროზე მიცემის საკითხი.

— **საზოგადოებრივ საჭიროებისთვის.** საქ. ქალაქ აღმასკომთან არსებულმა ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესებელმა კომისიამ ახლად დაარსებულ საზოგადოებრივ [illegible] გადასდო ათასი მანეთი და ორი საავადმყოფოს ინკუბატორი (ხელსაწყო).

— **საქ. ს/გ. ინსპექციამ** დაამთავრა საქართველოში [illegible] სანიტარული საქმის გამოკვლევა და [illegible].

— **საქ. მ/გ. ინსპექციამ** დაამთავრა სო. საქ. [illegible] კოოპერატიულ გაერთიანების [illegible] გამოკვლევა და [illegible].

— **სოციალურ დაზღვევისათვის.** საქ. სოც. დაზღვევის სამმართველომ ამ. ცხომელიძე გაგზავნა ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის დაზღვევის სალაროთა სამაზრო კონფერენციებზე მონაწილეობის მისაღებად.

— **„ოქტ. ბოლშევიკის" ახალი ქარხანა.** ქართველი ჯარის მთლიანმა საბჭ. კოოპერატივმა გადასწყვიტა ბორჯომში საკუთარ [illegible] მოაწყოს შვეიცარული ყველის წარმოების ქარხანა.

— **აღმასკომი ეხმარება ჯარს.** გორის აღმასკომმა თავის ხარჯით გაუყვანა წითელ ლეგიონს ელექტრონის შუქი.

— **„ოქტ. გრუზიის" ყრილობა.** თებერვლის პირველ რიცხვებში განზრახულია მოწვეულ იქნეს „ოქტ. გრუზიის" წლიური ყრილობა.

— **ცხენების აღრიცხვა.** ცხენთა საჯიშოების განყოფილება, რომელიც არსებობს მიწ. სახ. კომისარიატთან, ახლო ხანში შეუდგება ჯიშიან ცხენების აღრიცხვას.

— **წითელი არმიისა და ფლოტის სახლში.** შაბათს წით. არმ. და ფლ. სახლში (ნიკოლოზის ქ.) შესდგება ტფილ. გარნიზონის ქართულ-რუსული ნაწილების სამეურნეო კომისიების თათბირი.

— **შაბიამანის გამოწერა.** სავარეო ვაჭრობის კომიტეტმა გამოიწერა საზღვარ-გარეთიდან 60 ათასი ფუთი ინგლისური შაბიამანი.

— **უმუშევარ მოზარდთა სახლი.** შრ. სახალხო კომისარიატმა გადასდო 24 ათასი მან. უმუშევარ მოზარდთა სახლის მოსაწყობათ.

— **შრომის კოლექტივები.** შრ. სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა შრომის კოლექტივებისათვის გადადებული 21 ათასი მან. დაჩქარებით გაანაწილოს რესპუბლიკაში არსებულ ყველა შრომის კოლექტივებს შორის.

— **ქუთაისის შრომის ინსპექტორად** დაინიშნა ამხ. კალანდაძე.

— **ავადმყოფები საზამთრო აგარაკებზე.** საქ. სოც. დაზღვევის სამმართველომ 12 იანვარს კისლოვოდსკში გაგზავნა საექიმოდ 3 მუშა—მათ შორის ერთი ქალი.

— **კერძო ვაჭრობის გამოკვლევა.** საქ. მ/გ. ინსპექციამ ა/კ. მ/გ. ინსპექციას გადაუგზავნა საქართველოში კერძო ვაჭრობის გამოსაკვლევი მასალები.

— **დახმარება მშობიარეთ.** თბ. დამზღვევ კასამ დეკემბერში მშობიარეთ დახმარების სახით მისცა 5,096 მან.

— **წ.-კ. უცოდინარობის** სალიკვიდაციო სკოლებში, თბილისის მაზრაში. ამ ჟამად სწავლობს 7381 კაცი, აქედან 1472 ქალია.

— **სკოლების რიცხვი.** ქ. აღმასკომის სტატისტიკურ განყოფილების ცნობით ამ ჟამად თბილისში არსებობს 89 შრომის სკოლა 763 ჯგუფით.

— **მუშების დაზღვევა.** სოც. დაზღვევის სამმართველომ გადასწყვიტა დამზღვევოს ჩაქვის სახალხო მამულის მუშები.

— **გერმანული გუთნები.** ა/კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა შეიძინა 2,700 ცალი ფოლადის გუთანი გერმანიაში.

—

შემთხვევები

მგელი თბილისში

— როგორც ჩვენ გაზეთში იყო აღნიშნული, უკანასკნელ ხანებში თბილისის ახლო მახლო სოფლებში ხროვათ დაძრწიან სიმშილისაგან გამწარებული მგლები, რომლებიც არ ინდობენ ადამიანებსაც. მრავალი შემთხვევა იყო, როცა მგლებმა შესჭამეს ადამიანები, აგრეთვე იყო შემთხვევა მგლების ოჯახებში შეჭრის, მათ მიერ შინაური ცხოველების განადგურების. ძლიერი ყინვებისა და თოვლის გამო მგლები ისე გათამამდნენ, რომ თბილისშიაც შემოიჭრნენ. 14 იანვარს, მე-11 სამილიციო რაიონში დილის 6 საათზე საბჭოთა ქუჩაზე მიმავალ მოქ. [illegible] ბებუთიშვილს შემოეფეთა მგელი და გაიმართა სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა ადამიანსა და მგელს შორის. ეს შეიტყო მოდარაჯე მილიციონერმა და სასწრაფოთ მიეშველა ბებუთიშვილს: მილიციონერმა მოჰკლა მგელი. ბებუთიშვილს ორივე ხელები აღმოაჩნდა დაკბენილი.

—

მკვლელობა რომანიულ ნიადაგზე

გუშინ, დაახლოვებით საღამოს 8 საათზე, მიწათმოქმედების კომისარიატის შენობაში (ევანგულოვის ქ. № 2) ამავე კომისარიატის საქმისმწარმოებელმა ერასტო შაქრიშვილმა სამი ტყვიით „კოლტ"-ის სისტემის რევოლვერიდან მძიმედ დაჭრა აღნიშნულ კომისარიატის მემანქანე ქალი ელისაბედ ციციშვილი.

საქმის ვითარება ასეთია:

კარგა ხანია რაც შაქრიშვილს, შეუყვარდა ციციშვილის ქალი, ერთად სამსახურის განმავლობაში. ამაზე მან კიდეც არა ერთხელ ულაპარაკნია მასთან და უთხოვია ცოლად გაყოლა. ციციშვილი ყოველთვის უარზე იდგა და ამბობდა, რომ მას ჯერ არ აქვს განზრახვა გათხოვდეს. შაქრიშვილმა ვეღარ მოითმინა მეტი გაძლება და გადასწყვიტა ქალის მოკვლა და თავის მოკვლაც.

გუშინ საღამოს მორიგი მუშაობის გათავებისას, შაქრიშვილმა ცალკე ოთახში გაიხმო ციციშვილის ქალი და წინადადება მისცა უკანასკნელად გაეცა პასუხი. ციციშვილმა უარი უთხრა ცოლად გაყოლაზე, რის შემდეგ შაქრიშვილმა იძრო რევოლვერი და სამი ტყვიით მძიმედ დასჭრა მკერდში.

მაშინათვე შაქრიშვილმა, რომელიც ფიქრობდა, რომ მოკლა ციციშვილი, გასწია ქალის ბინისაკენ (მალაკნების ქ. № 42), შევარდა მის ოთახში და განუცხადა მის დედას, რომ მან მოკლა მისი ქალიშვილი; რის შემდეგ დაჯდა სავარძელში, გაიხსნა გულმკერდი, დაიმიზნა იქ რევოლვერი და გამოსწია ჩახმახი, რევოლვერი არ გავარდა. მაშინ რევოლვერში შეაწყო ახალი ვაზნები და გაისროლა. ტყვია მას მოხვდა გულში და სასიკვდილოთ დაიჭრა.

მოკლული შაქრიშვილი და მძიმედ დაჭრილი ციციშვილი უკვე საავადმყოფოში არიან მოთავსებულნი.

—

— **გვამის აღმოჩენა.** გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ ტროიცკის ქუჩაზე № 5 აღმოაჩინა რევოლვერის ტყვიით მოკლული ნინა დგებუაძის გვამი. იქვე ნახეს ნაგანის სისტემის რევოლვერი, რომლიდანაც ერთი ტყვია გასროლილი იყო. ფიქრობენ რომ მოხდა თვითმკვლელობა.

— **ჩხუბის დროს ვერ შეამჩნიეს.** გუშინ საღამოს 7 საათზე თავისუფლების მოედანზე ორი ბავშვი წაიჩხუბა. ჩხუბის დროს მათ ვერ შეამჩნიეს მოახლოებული ეტლი, რის გამოც ორივემ მიიღო ცოტაოდენი დაზიანება.

— **პალტოების მოპარვა.** 14 იანვარს, რუსთაველის პრ. № 31, ა/კ. სახ. საგეგმო კომიტეტიდან მოიპარეს ორი პალტო.

— ამავე დღეს, კ. მალაევის კბილის საექიმოში ყოფნის დროს ალექსანდრე არისლოვს მოჰპარეს პალტო, ღირებული 100 მანეთად.

— **ქურდობა.** 14 იანვარს, ს. წულუკიძის ქ. № 7, კ. კ. ა. სახ. რევტრიბუნალის საკუჭნაოდან მოიპარეს 60 მან. სხვადასხვა ნივთები.

— ამავე დღეს, ანდრეევის ქ. № 49, გაქურდეს მოქ. ბარბარე შავიშვილის ბინა. წაღებულია 45 მან. საოჯახო ნივთები.

— **ცეცხლი.** 14 იანვარს, დღის 2 საათზე, სასამართლოს ქ. № 36, მოქ. ენთაშვილის ბინაზე გაჩნდა ცეცხლი. რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმმა. ზარალი უმნიშვნელოა.

— **ნაქურდალის დატოვება.** 14 იანვარს, დილის 7 საათზე, მ. დათოვის კუნძულზე მოდარაჯე მილიციელმა შენიშნა სამი პირი, რომლებსაც გაფრთხილების შემდეგ აუტეხა სროლა. უცნობმა პირებმა მიატოვეს სხვადასხვა ნაქურდალი ნივთები და მიიმალნენ.

— **ხორცის ქურდი.** 14 იანვარს შეიპყრეს გიორგი [illegible], რომელმაც სულეიმან ოღლის საყასბოდან მოიპარა 7 [illegible] ცხვრის ხორცი.

მუშათა ცხოვრება

ახალი სკოლა მუშებისათვის

ლენინის უბანში, ლოტკის გორის ქუჩაზე სახლი № 36, მე-32-ტე შრომის სკოლის შენობაში სამ თვეზე მეტია რაც არსებობს ახალი სკოლა მუშებისათვის. სკოლა გახსნა თბილისის პოლიტგანმა. თბილისის პოლიტგანი სკოლას აძლევს უფასოდ წიგნებს, რვეულებს, ფანქრებს და სხვა საჭირო სასწავლო მასალებს. აქ არსებობს სულ 4 ასეთი სკოლა. აქედან 2—წერა-კითხვის მცირე მცოდნეთათვის ქართულ ენაზე, 1—წ.-კ მცირე მცოდნეთათვის რუსულ ენაზე და ერთიც წ.-კ. უცოდინართათვის ქართულ ენაზე. მუშები და მათი ცოლები დიდ სიხალისეს იჩენენ სწავლის შეძენაში და ეწაფებიან მას. კავშირის წევრი სულ ამ სკოლაში ითვლება—57 კაცი, არაკავშირის წევრი—30 კაცი, დანარჩენ პირებს კი შეადგენენ კავშირის წევრთა ხარჯზე მყოფნი. მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით დღის 4 ნახევრიდან საღამოს 8 საათამდე. მეცადინეობას და მუშაობას მტკიცე და სისტემატიური მიმდინარეობა აქვს. გარდა ლექციური მეცადინეობისა აქ სხვა მუშაობა სწარმოებს ხოლმე მუშათა გონებრივი ჰორიზონტის გასაფართოებლათ და მეტი ცოდნის შესაძენათ. ამ მიზნით დაარსებულია სკოლასთან დრამატიული წრე. ამ წრემ 8 იანვარს გამართა პირველი წარმოდგენა: წარმოადგინეს გ. ერისთავის „ძუნწი" და „ორი მშიერი". წარმოდგენა გაიმართა მუშებისათვის უფასოდ. აქვე გამოდის აგრეთვე კედლის გაზეთი „სინათლე".

ამ სკოლების გამგე ენერგიულათ მუშაობს და მაქსიმალურ ენერგიას ხარჯავს მუშათა გათვითცნობიერებისათვის.

საჭიროა სხვებმაც მიბაძონ მას.

მუშკორი **კან-თან.**

—

დაპირებას დასასრული არ უჩანს

გულის ფანცქალით ველოდით იანვრის 6,—რადგანაც ამ დღეს დანიშნული იყო მორიგი კონფერენცია თუთუნის ქარხნის მუშების. ამ დღეს უნდა გადაწყვეტილიყო ის საკითხი, რომელიც წარსულ წლის სექტემბრიდან დღევანდლამდისაც ვერ მოგვარებულა. ეს არის მეთამბაქოე მუშების ნაჭრობით მუშაობაზე გადასვლა, ან შრომის ხელფასის მომატება, მაგრამ როგორც უკანასკნელმა კრებამ გვიჩვენა, მაინც ვერ მოგვარდა იგი ისე, რომ მუშებს ცოტად თუ ბევრად მაინც იმედი მოეცემოდა, რომ როგორმე ჩვენი მატერიალური მდგომარეობა მცირედად მაინც შეგვიმსუბუქდება. ამ კრებაზედაც ჩვეულებრივად განიმეორეს არა ერთხელ გაგონილი მიზეზი, რომ გილზის პაპიროსის ქაღალდი და თუთუნი საკმაო რაოდენობით არა აქვს ფაბრიკას, რომ შესაძლებელი იყოს ნაჭრობით მუშაობაზე გადასვლა.

ამ დაბრკოლებას დაემატა კიდევ ახალი სხვაც ამხ. ავეტოვის აზრით.

ეს ის არის, რომ თუთუნის მარაგი სულ ორ თვეზე მეტი არ გვეყოფა და ამასთანავე საქონელზე მოთხოვნილებაც ნაკლებად არის ბაზარზე და სხვადასხვა.

ამგვარად დაპირება დაპირებად რჩება და, მგონი, ახლო მომავალში ვერც კი მოგვარდება ეს საქმე.

თამბტრესტო, მოთმინება კარგია, მაგრამ როდემდის!?

მუშა—**მარჯანა.**

—

მადლობის ღირსია ასეთი უფროსი

ვინ არ იცის, როგორი გაჭირვებით და ვაი-ვაგლახით არის აშენებული პლეხანოვის სახელობის კლუბი. ბევრი რამ აკლია მას დღესაც, მაგრამ უმთავრესი მისი დანაკლისი არის ის, რომ სრულიად არ ყოფნის მას ის ქვაბი ათბობად, რომელიც იქ სდგას და კლუბში საშინელი სიცივეა. ამას ყურადღება მიაქცია მთავარ სახელოსნოს უფროსმა და ამ სიცივეების გამო კლუბის გამგეობას დაუთმო ერთი პატარა ლიანდაგის ქვაბი, რომელიც ხმარებაში აღარ ირიცხებოდა. იმედია, ქვაბის დადგმის შემდეგ კლუბში საკმაო სითბო გვექნება. და ჩვენ, მუშები ვიმეცადინებთ მაშინ ბეჯითად.

ამ ყურადღებისათვის მადლობის ღირსია ამხ. მაისურავი. იმედია მის მაგალითს სხვა უფროსებიც წაბაძავენ.

მუშკორი—**მექვაბე.**

—

სახლის პატრონიც ასეთი უნდა

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

გონჩარნის ქუჩაზე სახლი № 45-ის პატრონი ივანე შაბუნინი სრულებით არ აქცევს ყურადღებას სახლებს, თავისი ბინა მას მშვენივრად მოწყობილი აქვს. ჩვენ კი საბჭოთა მოსამსახურე მდგმურების ოთახებში წვიმაც ჩამოდის და ჭერებიც ინგრევა წვიმისაგან. კედლები ვირთხა-თაგვების მიერ არის დანგრეული, რაც საფრთხეს უქადის სახლებს და მდგმურებს. სახლის პატრონი წყლის მილებსაც სრულებით არ უვლის. მილები დასკდა ყინვისაგან, და ეს 20—25 დღე ვიტანჯებით წყლის შორი მანძილიდან ზიდვით და ყიდვით. ამისათვის ვთხოვთ აღმასკომს მოგვაქციოს ყურადღება და აიძულოს ურჩი სახლის პატრონი—მოუაროს სახლს სათანადოთ და თუ არ მოუვლის. მას, აღნიშნული სახლი ქალაქის უძრავ ქონებათა სამმართველოს გადაეცეს, რომ მას ვინმე პატრონი აღმოუჩნდეს და არ გაფუჭდეს იგი.

მუშკორი **ილარ. კაკიტაძე.**

—

მუშკორები კრებებზე არ უნდა ირჩეოდნენ

მიუხედავათ იმისა, რომ მრავალჯერ იქნა განხილული და გაშუქებული მუშკორთა კონფერენციებზე და სხვაგანაც, რომ მუშკორები არჩეულნი არ უნდა იყვნენ საერთო კრებებზე არამედ უნდა იყვნენ თავისუფალი მოხალისენი, მაინც, სამწუხაროდ, აქა-იქ კიდევ ირჩევენ მათ კრებებზე. ზოგიერთ შემთხვევაში არჩეულ კორესპონდენტებს ადგილობრივი ორგანოები მანდატებსაც კი აძლევენ, რომ ესა და ეს ამხანაგი ამა და ამ გაზეთის კორესპონდენტიაო. ერთხელ და სამუდამოდ უნდა იცოდნენ მუშებმა, რომ კრებებზე კორესპონდენტების არჩევა სხვადასხვა მოსაზრებით დაუშვებელია. დაუშვებელია აგრეთვე მოწმობების ადგილობრივ მიცემაც, რადგანაც ზოგიერთები აღნიშნულ მოწმობებს ბოროტად იყენებენ. ამა თუ იმ გაზეთის რედაქციის სახელით მანდატის გაცემის უფლება არავის აქვს, გარდა თვით რედაქციისა. კორესპონდენტს უნდება ამა თუ იმ დაწესებულების, თუ ქარხნის შესახებ როგორც დადებითი, აგრეთვე უარყოფითი მხარეების აღნიშვნა გაზეთის ფურცლებზე და სწორეთ უარყოფითი მხარეების გამომჟღავნების დროს. ხშირად მას თავს ესხმიან და შურს იძიებენ თვით მუშკორებზე, რომ როგორმე თავიდან მოიშორონ ურჩი კორესპონდენტი და ზოგიერთ შემთხვევაში მიზანსაც აღწევენ. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, რომ კორესპონდენტები ჯერ-ჯერობით ფსევდონიმით გამოდიან და თავიანთი ნამდვილი ვინაობაც კი მარტო რედაქციამ იცის. ასე კორესპონდენტი არც უნდა ირჩეოდეს და არც მანდატი ანუ მოწმობა ეძლეოდეს მას ადგილობრივ ორგანოებიდან.

მუშკორი **ნიკო მკერვალი.**

—

გამოგზავნილ წერილებიდან

(რკ. გზის სამართველოს საყურადღებოდ).

მოგვეცით სპეცტანსაცმელი ქუთაისის დეპოს მუშებს. არ გვაქვს სპეცტანისამოსი. დიდი სიცივეების გამო, საჭიროა დააჩქარონ სპეცტანისამოსის მოცემა.

მუშკორი **რუდი.**

—

არ გვაქვს სათბობი მასალა. ქუთაისის სადგურის მუშა-მოსამსახურეები ძალიან შევიწროებული ვართ სათბობი მასალის უქონლობის გამო მიუხედავად იმისა, რომ იქვეა მთელი რესპუბლიკის ნახშირის წყარო—ტყვიბული.

საჭიროა მოგვარდეს ნახშირის დარიგება. შეშის ყიდვა არ შეგვიძლია

მუშკორი **ვ. ვ.**

—

მადლობა წითელ არმიას.

ქუთაისის რკ. გზის ლიანდაგის დიდი თოვლისაგან გასაწმენდათ ქალაქიდან გამოგზავნილ იყო 200 წითელარმიელი, რომელთაც ჩინებულად შეასრულეს ეს საქმე 2—3 დღის განმავლობაში და გადაარჩინეს რკ.-გზა დიდი ხარჯებისაგან.

გაუმარჯოს წითელ არმიას და მის კავშირს მუშებთან!

მუშკორი **ვ. ლ.**

—

მოგვაშორეთ ლოთები.

(ქუთაისის პროფბიუროს საყურადღებოდ).

ქუთაისის პროფბიუროსთან არსებულ მუშა-მომღერალთა გუნდში და დრამწრეში ურევია ორი-სამი ლოთი, რომელნიც ხელს უშლიან მუშაობას წრეში.

მოგვაშორეთ, ალკოჰოლიკები!

მუშკორი **თხიზურგული.**

[illegible] ტრანსპორტს.

27 დეკემბერს ქუთაისის სადგურზე ორთქლმავალი გადასცდა ლიანდაგს. ზარალი არ ყოფილა, რადგან ქუთაისის სადგურის ზეინკლების ენერგიული მუშაობით ორთქლმავალი აჩქარებით ამოღებული და გასწორებულ იქნა.

მუშკორი **რუდი.**

—

ფაბრიკა-ქარხნებში

კერძო ქარხანა „ლურსმანი"

წარმოება.

ქარხანა ამზადებს ყველა ზომის მავთულს და ლურსმანს, რომელთა გამომუშავება ყოველთვიურად უდრის 2.400 ფუთს.

წარ. ნაყოფიერება იზრდება

ადრე ქარხანა დღეში ამზადებდა 50 ფუთ მავთულს და ლურსმანს, ეხლა კი მუშაობაში ნარდი სისტემის შემოღებით წარმოება გაიზარდა თითქმის 150 ფუთამდე დღეში.

რეალიზაცია

ქარხნის ნაწარმოების რეალიზაცია ხდება უმთავრესად სახელმწიფოკოოპერატიულ ორგანოების და ნაწილი კერძო ბაზრის საშუალებათ. სახელმწიფო ორგანოებიდან ნაწარმოებს იძენენ ბანკები და გლეხკომები უშუალოდ.

მოთხოვნილება დიდია

ნაწარმოების სრული 100 პროცენტი საღდება; მოთხოვნილება ნაწარმოებზე ისეთია, რომ ზოგჯერ ქარხანა ვერც კი ასწრებს მის დაკმაყოფილებას.

ჩარხები

ახლად შეკეთებული არიან და სამაგალითოდ მუშაობენ და სავსებით აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. ჩარხები მოძრაობენ ორი ნავთმძრავებლის საშუალებით,

შენობა.

შენობაც წარმოებისთვის საკმარისია; ამ ჟამად შენდება საწყობები ნედლეულისათვის, ღუმლები მავთულის გამოსაწვავად და კანტორა ჰიგიენის მხრივაც, შენობა დამაკმაყოფილებელია.

მუშების მდგომარეობა

ქარხანაში ირიცხება 18 მუშა, 4 მოსწავლე და 3 მოსამსახურე მუშები, რომლებიც ნარდათ მუშაობენ, დღეში აკეთებენ 6—9 მანეთს, დანარჩენები კი ღებულობენ სატარიფო ხარისხით 1:8 მინიმალურად 25 მანეთს თვეში.

კულტ-მდგომარეობა

წერა-კითხვის უცოდინარი ქარხანაში არავინ არის, გარდა ორი მოხუცი მუშისა. გამოწერილი აქვთ კოლექტიურად ადგილობრივი გაზეთები.

შრომის პირობები დაცულია

ქარხანაში ხშირად დაიარება შრომის ინსპექტორი დასათვალიერებლად და ამის გამო შრომის დაცვის პირობებიც წესიერად არის დაცული. სპეც-ტანისამოსს და საპონს მუშებს წესიერად ურიგებენ და სხვა.

ინფ. **ტონკა.**

მადლობა შეფს

(წერილი რედაქციის მიმართ)

მოქალაქე რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ჩემს მოწაფეებთან ერთად სიღნაღის მაზრის ს. ყანდაურის შეფებს, თამბაქოს ფაბრიკის „პროლეტარის" მუშებს, რომელთაც ჩემდამი რწმუნებული შვიდწლიანი შრომის სკოლის ღარიბ მოწაფეთათვის დასარიგებლად შემდეგი სასწავლო ნივთები მოგვაწოდეს.

1. „მცენარეთა აგებულობა და სიცოცხლე" მეტრეველისა და არჯევანიძისა 2 ნაწ. 1 ცალი; 2. „არაორგანიული ბუნება" იმავე ავტორისა 1 ნაწ. 1 ცალი; 3. „თვალსაჩინო პრაქტიკული გეომეტრია" შაფაქიძისა 1 ცალი; 4. „პირველყოფილი კულტურის ისტორია" უზნაძისა 3 ცალი; 5. „Новая школа" 1 ნაწ. 2 ცალი; 6. „ართმეტიკული კრებული" შუბლაძისა და ჩიქავაძისა 1 ნაწ. 4 ცალი; 7. „განთიადი" თაბუკაშვილისა 1 ნაწ. 3 ცალი; 8. რვეულები 120 ცალი; 9. კალმის ტარები 60 ცალი; 10. ფანქრები 60 ცალი.

მადლობას ვუძღვნით აგრეთვე ყანდაურის გლეხკომის თავმჯდომარის ისიდორე ფხალაძის და რკინის გზის ტყის განყოფილების გამგეს ავთანდილ ჩილიკაძეს; პირველს მათგანს შემდეგი სასწავლო ნივთების შემოწირულებისათვის:

1) „ჩვენი სკოლა" 2 ნაწილი 10 ცალი; 2) რვეულები 50 ცალი; 3) ფანქრები 24 ცალი; მეორეს—მოქალაქე ჩილიკაძეს: 1. რვეულები 50 ცალი; 2. ფანქრები 50 ცალი.

ყანდაურის რაიონის სკოლების
გამგე **ალ. გაჩეჩილაძე.**

იურიდიული რჩევა-დარიგება

(ამხ. მუშებს და გლეხებს)

ჩვენს გაზეთს როგორც ადგილობრივი ფაბრიკა-ქარხნების მუშებისაგან, ისე პროვინციიდან ამხ. გლეხებისგანაც მოსდის მრავალი სხვადასხვა მნიშვნელობის შეკითხვები წმინდა იურიდიული ხასიათისა. ამ შეკითხვებში ისინი აღნიშნავენ რა მთავრობის ამა თუ იმ დეკრეტის, ან დადგენილების დარღვევის ან თავიანთ კანონიერ უფლებათა შელახვის ფაქტებს ჩადენილს ამა თუ იმ დაწესებულებათა ან პირთა მიერ, მოითხოვენ სათანადო იურიდიულ რჩევა-დარიგებას და გასაგები ენით დეკრეტების და დადგენილებების ახსნა-განმარტებას.

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქცია უწევს რა ანგარიშს მშრომელთა მასის ამ კანონიერ მოთხოვნილებას, ხსნის „კომუნისტი"-ს ფურცლებზე განსაკუთრებულ განყოფილებას **„იურიდიული რჩევა-დახმარების"** სახელწოდებით.

მოვუწოდებთ ყველა მუშებს და გლეხებს, ვისაც ამის საჭიროება ექნება, მოგვმართონ სათანადო შეკითხვებით უფასო იურიდიული რჩევა-დარიგების მისაღებად.

რედაქცია.

შეკითხვა:

მე ვცხოვრობ პოგრანიჩნის და ლოტკის გორაზე. მიჭირავს ერთი ოთახი 25 კვად. არშინიანი. ვარ რკინის გზის მოსამსახურე, ვაგონების გადამბმელი; ვარ კავშირის წევრი, ვარჩენ ოთხ სულს; ჯამაგირს ვღებულობ მე 9 სატარიფო ხარისხით თვეში 36 მ. და 50 კ. სახლის პატრონი არ მაძლევს უფლებას დავიდგა ოთახში ფეჩი; ოთახს არა აქვს ჭერი მოლესილი; ბინის ქირად სახლის პატრონი მახდევინებს თვიურად 3 მანეთს და 50 კ. ვხოცდებით სიცივით.

გთხოვთ მაცნობოთ 1) სახლის პატრონი ვალდებულია თუ არა შეაკეთოს სახლი, 2) მაქვს უფლება თუ არა დავდგა ფეჩი და გავათბო საცხოვრებელი ოთახი; 3) რამდენი უნდა გადავიხადო თვიურად ბინის ქირად. 4) თუ ქირა არ მიიღო სახლის პატრონმა როგორ მოვიქცე?

სადგ. თბილ. ვაგონების გადამბმელი **ახლანოვი.**

პასუხი:

1) საცხოვრებელი ოთახის გასათბობად ფეჩის დადგმის უფლება თქვენ გაქვთ და მის დადგმაში სახლის პატრონი თქვენ ხელს ვეღარ შეგიშლის, თუ კი თქვენ ხანძრის შესაძლებლობას შეძლების დაგვარად მოსპობთ; 2) ბინის კაპიტალური შეკეთება ევალება თვით სახლის პატრონს და თუ თქვენ მას შეაკეთებთ, ბინის ქირიდან დაუჭერთ მას დახარჯულ თანხას; 3) ბინის ქირად თვიურად თქვენ იხდით მხოლოდ **ოც და სამ კაპეიკს**; 4) თუ კი სახლის პატრონი მას არ მიიღებს, დაისწარით მოწმეები და ეგ ფული შეიტანეთ თბ. ხაზინაში იუსტიციის სახ. კომისარის დეპოზიტში. ფულის შეტანის ქვითარს, საჭიროების დაგვარად წარუდგენთ სასამართლოს.

შეკითხვა

მე ვარ უღარიესად ღარიბი გლეხი: არა მაქვს არავითარი შემოსავლის წყარო და ჩემი ცოლშვილით განვიცდი უკიდურეს მდგომარეობას ყველაფერში. არა გვაქვს საზამთრო, სათბური ტანსაცმელი, შეშა. ჩემს ძველს ქოხს ყოველ მხრიდან უბერავს უჩვეულო ზამთრის ცივი ქარი. გთხოვთ განმიმარტოთ—მაქვს უფლება თუ არა მოვითხოვო უსასყიდლოდ საშენებელი მასალა და შეშა და რა წესით?

ობუჯელი **გლეხი გიგოია.**

პასუხი:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. **ტყის კოდექსის 24 და 25 მუხლის** თანახმად ყოველ უღარიესად ღარიბ მიწის მუშას (წითელარმიელთა ოჯახს, ქვრივ ობლებს, გამოსახლებულთა და სხ.) მათი ქონებრივი მდგომარეობის და ნამდვილი საჭიროების მიხედვით სარაიონო აღმასკომის შუამდგომლობით და მიწათ მოქმედების სახალ. კომისარიატის მიერ გამოცემული ინსტრუქციის მიხედვით, შეიძლება სრულიად უფასოთ მიეცეს ასაშენებელი მასალა, ხე-ხმელი, ნაყარი და ფიჩხი საშეშედ.

შეკითხვა:

ჩვენ, ორნი ძმანი, ამ უკანასკნელ დრომდე ვცხოვრობდით ერთად და გვქონდა [illegible] მიწის სათანადო ნორმა, ამ ჟამად კი ვაპირობთ გაყრას; გთხოვთ ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ მოვიქცეთ?

ორი ძმები **რაჭველები.**

პასუხი:

ისინი, ვინც გაყრას აპირებს, (ამ შემთხვევაში თქვენ) მიწა და ქონების გაყოფისათვის წარადგენენ ადგილობრივ რაიონულ აღმასკომში სარეგისტრაციოდ გაყოფის ფორმის ქაღალდს, რომელშიაც უნდა აღნიშნონ შემდეგი: 1) როდის და რომელ კომლთა შორის მოხდა გაყოფის შესახებ შეთანხმება, 2) რომელი მიწის ნაკვეთია გასაყოფი (უჩვენეთ ზომა და საზღვრები) და რომელ წევრს ხვდა იგი წილად, ან როგორ გაიანაწილდა მათ შორის, 3) რა ქონებაა გასაყოფი და როგორ ანაწილდა იგი; 4) გაყოფის შესრულების ვადა და წესი და 5) მათი ხელის მოწერა, (იხ. **მიწის კოდექსის მუხლი 52 თავი 2**).

—

შრომის ექსპლოატატორების გასამართლება

— **ხელფასის არმიცემისათვის.** ყოფილ სასადილოს „ორიოლ"-ის მეპატრონეებმა ჯორჯენაძემ და ბ. ქანოვმა სასადილოს ლიკვიდაციის შემდეგ მოსამსახურეები დაითხოვეს ისე, რომ მათ არ მისცეს რამდენიმე თვის ხელფასი. უკანასკნელებმა ეს გაასაჩივრეს შრომის სასამართლოში, რომელმაც დააჯარიმა თავხედი მიკიტნები 585 მან. 65 კაპ. გემო-კვების კავშირის სასარგებლოდ.

— **სასადილო „სიმპატია"-ს** (პუშკინის ქ. № 17) **პატრონებმა:** რუხაძემ, ნაცვლიშვილმა და ავალოვმა არ მისცეს მუშებს კუთვნილი ხელფასი რამოდენიმე თვის განმავლობაში.

შრომის სასამართლომ, რომელმაც ამ დღეებში გაარჩია ეს საქმე, დაადგინა: გადასდეს სასადილოს პატრონებმა 349 მან. 50 კაპ. გემოკვების კავშირის სასარგებლოთ.

— **მეეზოვის ექსპლოატაციისათვის.** ფოთის ქუჩაზე მცხოვრებ სახლის პატრონებს—ტერ-ხაჩატუროვს, [illegible]შვილს, ცხვიტაშვილს და პარავიანცს, რომელთაც ბრალდებათ მეეზოვე ანმეკიანცისთვის 6 თვის განმავლობაში ჯამაგირის მიუცემლობა, სასამართლომ გადაუწყვიტა უკანასკნელის სასარგებლოთ **72 მანეთი 50 კაპ.**

— **სატარიფო ხელშეკრულების არდადებისათვის.** სასამართლომ, დამქირავებელს, მოქ. პაველ გადიცკის მიუსაჯა 75 მ. 60 კ. მოჯამაგირე მათიაშვილის სასარგებლოთ იმისათვის, რომ მხარეთა შორის არ იყო დადებული სატარიფო ხელშეკრულება და დამქირავებელი დაქირავებულს არ აძლევდა ჯამაგირს 8 თვის განმავლობაში.

ინფ. **ა. კ—ძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროვინციაში

როგორ არ უნდა კეთდებოდეს საქმე

ძირულის კოოპერატივის გამგეობის „მუშაობა"

დიდი სიხარული და იმედები გამოიწვია პირველ ხანებში ძირულაში „ეპოს" დაარსებამ.

მაგრამ ამ იმედებს სრულებით აქარწყლებს „ეპოს" ეხლანდელი მდგომარეობა.

მაღაზია დაცარიელებულია, სასადილოში თვით მოსამსახურეებისათვის გასაძღომი არაფერი მოიძებნება. ვაჭრები და მიკიტნები ზეიმობენ, უხარიათ. ჩემის აზრით, ძირულის „ეპოს" გაკოტრების მიზეზი თვით მათი მესვეურების დაუდევრობაში უნდა ვეძებოთ:

1. გამგეობის წევრების საქმით დატვირთვა. გამგეობის ორი წევრთაგანი ჩაბმული არიან სხვადასხვა საქმეებში, მათ „ეპოს"-თვის არ სცალიათ 2. გახსნეს „ეპოს" განყოფილება ორ ადგილას ლაშეში და შროშაში, სასადილო ძირულაში. უნდოდათ დინამო მანქანის მოწყობა. საჭირო იყო ჯერ ძირითად ორგანიზაციის გაფართოება და არა უდროო მრავალსაქმიანობა. 3. უვარგის საქონლის მოტანა (2 ვაგონი დამპალი სიმინდი). 4. გაცემულ იქნა აუარებელი ნისია, რომელიც დღემდე არ არის აკრებილი.

სხვა მიზეზებიც შეგვეძლო ჩამოგვეთვალა. არა ერთხელ თქმულა, რომ კოოპერატივები ერთ-ერთი საშუალებაა ქალაქისა და სოფლის მუშებისა და გლეხების დასაახლოვებლათ.

და საქმის ისეთი დაყენება, როგორც ეს ძირულაში იყო სახელს უტეხავს ამ იდეას. საჭიროა ცეკავშირმა მიაქციოს ამას სათანადო ყურადღება. თავიდანვე ასეთი საქმე მიანდოს მცოდნე და საქმის მოყვარულ პირებს, რომ კოოპერატივებს გლეხობის თვალში არ დაეკარგოს ნდობა და სარგებლობის მაგიერ საქმეს ზიანი არ მოუყვეს.

ინფ.—კ. თ.

ლანჩხუთის კოოპერატივი

შაქარი, პური, ნავთი და მარილი ლანჩხუთის კოოპერატივში არ იშოვება, რითაც ადგილობრივი ვაჭრები სარგებლობენ, ტყავს აძრობენ გლეხობას და საზღაპრო ფასს აწესებენ საქონელზე. მაგ. გირვანქა ნავთს 20 კაპ. ყიდიან. ეს უნდა მიეწეროს კოოპერატივის გამგეობის დაუდევრობას, რომელსაც არ აქვს მომარაგებული საკმაო სანოვაგე კოოპერატივში. მარტო შალეულობით, შევიოტებით და სხვა ძვირფასი მაუდებით არის სავსე, ეს საქონელი ძველი მოტანილია და არც გამგეობა იწუხებს თავს სხვა საჭირო ნივთებისათვის, რომლებიც გლეხისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ. დროა ამას მიაქციოს გამგეობამ ყურადღება და დააკმაყოფილოს ადგილობრივ გლეხობის მოთხოვნილება.

გ. ქ.

ს. ბელლევი

საქარის თემი (შორაპნის მაზრა)

ეს სოფელი მდებარეობს დილიკაურ-საქარის თემს შუა. სოფელში ირიცხება 50 კომლამდე. კულტურულად სოფელი ვერ სდგას სასურველ ნიადაგზე. არსებობს მხოლოდ ორ წლედი და სხვა დაწესებულება, როგორიც არის: კოოპერატივი, სამკითხველო, დრამატიული წრე და სალიკვიდაციო სკოლა. სხვა სოფელში არ არსებობს. გლეხს წვრილმან ოჯახურ მოთხოვნილებისათვის უხდება სიარული 8—9 ვერსის მანძილზე, ქოხ-სამკითხველო და სალიკვიდაციო სკოლა, მართალია, არსებობს ს. დილიკაურში და საქარაში, მაგრამ ჩამოთვლილი სოფლები ბელლევზე ძალიან დაცილებულია და გლეხისთვის შეუძლებელი ხდება სიშორის გამო, თავის ოჯახურ შრომის შემდეგ იაროს მოხსენებულ სოფლებში 4—3 ვერსის მანძილზე. როგორც დილიკაურში, აგრეთვე საქარაშიც არსებობს დრამატიული წრე, ზაფხულობით ხშირად იდგმება ხოლმე წარმოდგენები, მაგრამ ბელლეველებისათვის შეუძლებელი ხდება დასწრება წარმოდგენაზე გინდ იყოს ეს დილიკაურში, გინდ ბელლევში. საჭიროა, რომ ს. ბელლევში გაიხსნებოდეს „ეპოს" განყოფილება, ქოხ-სამკითხველო და სასურველია ადგილობრივი ინტელიგენციის საშუალებით და ინიციატივით დაარსდებოდეს დრამატიული წრეც.

ამბროსი ხალაძე.

ს. შაშიანი

(თელავის მაზრა)

ს. შაშიანი 560 კომლისაგან შესდგება. სულ გლეხობა არის. უსწავლელები 157 არ აღემატებიან ორთავე სქესისანი და ამ ორ წელიწადში უსწავლელობას ბოლო მოეღება.

სოფელში არსებობს შვიდწლედი. ჯერ ამ ხანათ არის ხუთი ჯგუფი. მოწაფეთა რიცხვი არის 210. მეუთე ჯგუფში 36 მოწაფე არის: ეს ჯგუფი შესდგება სამი სოფლის მოწაფეთაგან (შაშიანი, კალაური და ფურიათუბანი). მერხების უქონლობა (პარტები) და შენობების დაშორება ერთი მეორისაგან აფერხებს სწავლას, მაგრამ იმედია სკოლის სააღმშენებლო კომისია ყოველივეს ილონებს და თავის დაწყობილ მშვენიერ გეგმას სკოლისას განახორციელებს მთავრობის დახმარებით.

სამი ლიკსკოლა არსებობს (დიდებისა), 90 კაცი სწავლობს საღამოობით. წელს როგორც პატარებში, ისე დიდებში დიდი სურვილი არის სწავლისა. ხუთ საათზე (საღამოთი) იკრიბებიან დიდები და რვა საათზე სიმღერებით ბრუნდებიან თავ-თავიანთ ბინებისაკენ.

უფულობა მეტად აწუხებს გლეხობას (ზოგი გადასახადებისათვის სჭირდებათ და ზოგიც ფართლეულობის შესაძენად). მეზობელ სოფ ფურიათუბანში არიან ჩარჩები და გაჭირვებული გლეხის ნაშრომ-ნაღვაწი იაფ. ფასებში გადადის იმათ ხელში. კოოპერატიული დაწესებულება „ეპო" და კახეთის მევენახეთა საზოგადოება არის, მაგრამ ისინი ბევრად ვერ შველიან გლეხებს, რადგანაც ფული არა აქვთ მათ და თუ ერთი მეოთხედი მოსავლისა მიდის კოოპერატივებში, დანარჩენი ჩარჩებს რჩება.

კაკაბთხეველი.

ზემოხეთის თემი

(ოზურგეთის მაზრა)

დიდი ზარალი მიაყენა ამ სოფელს, უზომო თოვლის მოსვლამ. 22 დეკემბრიდან რომ დაიწყო თოვა 29 დეკემბრამდე გასტანა. მოულოდნელათ მოვიდა ორ არშინ ნახევრამდის თოვლი, ამ გარემოებამ დიდ გასაჭირში ჩააგდო მცხოვრებნი, კაცი გარეთ ვერ გამოდიოდა. 28 დეკემბერს საათის 9 საათზე ადგილობრივ კულტურულ დაწესებულებიდან შეიქნა უეცრათ კაცის ყვირილი და ზარების რეკა, თურმე თოვლის სიმძიმეს ვერ გაუძლო ზოგიერთმა შენობებმა და იმტვრეოდენ. მიუხედავათ საშინელი სიცივისა შეგროვდენ პარტიული ამხანაგები და ახლო მცხოვრებნი და გადაარჩინეს სკოლა, ფოსტის განყოფილება, სამმართველო და საპარკე კაზარმა, მხოლოდ ხალხის მისვლამდი ჩამტვრეულიყო: კოოპერატივი, საფერშლო სახლი, სახელოსნო დუქანი და სახაზო. დაზიანებულიყო: სახალხო სახლი და სამკითხველო, მასთან გაფუჭდა წისქვილები, თოვლით ამოვსებული იქნა წყლები. უფქვილობის გამო გასაჭირს განიცდის ხალხი, შეწყდა სწავლა სკოლებში, რადგანაც მოწაფეები სასწავლებელში ვერ მოვიდნენ. დარჩა ტყეებში საძოვრათ გაშვებული საქონლები.

სანდრო თ.

ნავთი მოგვაწოდეთ

დუშეთის „ეპოს" გამგეობას საყურადღებოდ

თითქმის ორი კვირა იქნება რაც ქ. დუშეთში მცხოვრებლები განიცდიან დიდ კრიზისს უნავთობის გამო. როცა ჩვენს ფედერაციაში ნავთი აუარებელია და განსაკუთრებით თბილისში ხუთი თვის მარაგია ნავთისა, აქ ხალხი ბნელაში ზის. გამგეობა პირდება ხალხს ჩქარა მოვიტანთო და ეს ორი კვირაა, რაც ნავთის ფერიც დაავიწყდა და ხალხს რაშია საქმე, რად აძლევს „ეპო" საშუალებას კერძო ვაჭრებს რომლებიც 40 კ. ყიდიან გირვანქა ნავთს ტყავი გააძრონ საზოგადოებას. დღეს აქ ვერც კართოფილის სანთელს ვერ იშოვის კაცი, ისიც კი გაასაღეს ვაჭრებმა.

გამგეობამ, საჭიროა ყოველგვარი მასალის თავის დროზედ მომარაგება და არა მაშინ, როცა თოვლი გზას შეკრავს.

მელანიშვილი.

პროვინციის ქრონიკა

— **გლეხკომების კონფერენცია.** 14 იანვარს გორში გაიხსნა გორის მაზრის გლეხკომების კონფერენცია.

— **გურიის** სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმს გადაეცა 16 ძირი სკა, სკოლისთვის საფუტკრეს მოსაწყობათ.

— **შენობის გადაცემა.** სოფელ ატენში (გორის მაზრა) ადგილობრივ კოოპერატივს გადაეცა ხის შენობა კოოპერატივის გაფართოვების მიზნით.

— **შინაური ფრინველების ხოლერა.** ამ ჟამად შინაური ფრინველების ხოლერა მძვინვარებს სოფ. ლაგოდეხში, სიღნაღის მაზრაში, სოფ. თეკლეთში, ნოსირში, თამაკონში, აბაშაში და სენაკის მაზრაში.

— **ძველი სახელწოდების შეცვლა** ბორჯომის აღმასკომმა გადასწყვიტა სოფ. საყანის ხევს შეუცვალოს სახელი და უწოდოს სოფელი წითელი ხევი.

— **ოზურგეთის ჰიდრო-ელსადგური.** ოზურგეთის აღმასკომმა მიანდო ინჟენერთა კომისიას გამოარკვიონ და შეიმუშაონ ჰიდრო-ელსადგურისთვის არხის გაყვანის მიმართულება.

— **ტეხნიკუმის გახსნა.** 18 იანვარს სოფ. ბაკურციხეში მოხდება კახეთის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის საზეიმო გახსნა.

— **მეფუტკრეობა იზრდება.** წარმოკავშირის მეფუტკრეობის ინსტრუქტორის ამ. წულაძის ხელმძღვანელობით ლანჩხუთში დაარსდა მეფუტკრეობის კოოპერატიული ამხანაგობა „კრიპუჯი".

— **ს. საქარის** (შორაპნის მაზრა) გლეხებმა განიზრახეს დააარსონ სასოფლო-სამეურნეო არტელი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავათ

კვირეულის ჩატარების გეგმა საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ავლაბარ-ხარფუხის რაიონში.

I

16—24 იანვრამდე პარტუჯრედების გაერთიანებულ სხდომებზე დასმული იქნას საკითხი „პარტიის ბრძოლა ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ", რისთვისაც უჯრედები თავს იყრიან შემდეგი წესით:

1. სადგ. ნავთლუღის და ქალაქის სასაკლაოების უჯრედი 19 იანვარს, სწორედ საღამოს 4 საათზე იკრიბება სადგურ ნავთლუღის კლუბში. მომხსენებელი—ამხ. **კახიანი**

2. მშენებლებისა, ქარხკომისა № 14 და მტვირთველების უჯრედები—პარასკევს, 23 იანვარს სწორედ საღამოს 6 საათზე მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში. მომხსენებელი—ამხ. **თუმანიანი**.

3. ტყავეულობის ტრესტისა, ტყავეულობის ქარხნისა № 3 და მაკარონის ფაბრიკის უჯრედები—პარასკევს, 23 იანვარს, სწორედ საღამოს 4 საათზე ტყავეულობის ტრესტის კლუბში. მოხსენებელი ამხ. **ა. ვართაპეტოვი.**

4. ზეთისა და საპნის ტრესტისა და ა.-კ. სავ. კომ. ცხენოსანთა რაზმის უჯრედები—პარასკევს, 23 იანვარს, საღამოს 4 საათზე ზეთ. და საპ. ტრესტის შენობაში.—მომხსენებელი—ამხ. **არაბეკოვი.**

5. განსაკუთ. დანიშნულების იზოლიატორისა, სასურსათო ორგანიზაციებისა და მალაკანთა კოოპერატივის უჯრედი—სამშაბათს, 20 იანვარს საღამოს 5 საათზე, სასურსათო ორგანოების ბინაზე (პეტრე-პავლეს ქ. № 13) მომხს.—ამხ. **სააკიანი ამოთ.**

6. სათრობი განყოფილების, ა.-კ. სახ. ვაჭრობისა, სახ. დაზღვევისა, საფეიქრო სინდიკატისა და ა.-კ. საბამბო კომიტეტის უჯრედები—სამშაბათს, 20 იანვარს საღამოს 6 საათზე, საფეიქრო სინდიკატში (სომხის ბაზარი № 62) მომხსენებელი ამხ **მაკინციანი.**

7. სახ. სასმელებისა, ქალაქის აბანოების უჯრედებისა და აგრეთვე ყველა თურქ კომუნისტებისათვის—ორშაბათს, 19 იანვარს, საღამოს 6 საათზე ნარიმანოვის სახელობის კლუბში. მომხ. ამხ. **რაუფ ზადე.**

8. მიწათმოქ. კომისარიატისა და შრომის კომისარიატის უჯრედები—სამშაბათს, 20 იანვარს, საღამოს 6 საათზე, მიწათმოქ. კომისარიატში. მოხსენება ამხ. **ჟვანია.**

9. ქალაქის საავადმყ. უჯრედი—პარასკევს, 23 იანვარს. მომხსენებელი ამხ. **სოხიანი.**

II.

16—24 იანვარს წარმოებებში და დაწესებულებებში საზოგადო კრებებზე ჩატარებულ უნდა იყვეს მოხსენება შემდეგ თემაზე: „პარტიული და საბჭოთა მუშაობა ერთი წლის განმავლობაში ულენინოთ".

1. მიწათმოქმედებისა და შრომის კომისარიატები—შაბათს, 17 იანვარს საღამოს 6 საათზე, მიწ.-მოქ. კომისარიატში. მოხსენება ამხ. **ქაკარაკაია.**

2. მალაკანთა კოოპერატივი—შაბათს, 17 იანვარს, საღამოს 6 საათზე თვით კოოპ. შენობაში (ვესიმონოვის მოედანი) მოხსენება ამხ. **სოკოლოვსკასა.**

3. ცხენოსანთა რაზმი—კვირას 18 იანვარს, დილის 10 საათზე, კომანდის შენობაში. მოხსენება ამხ. **ბეჟანოვი.**

4. დამტვირთავნი—კვირას, 18 იანვარს, დილის 10 საათზე, ტრანსპორტის კლუბის შენობაში (ალექსანდრეს ბაღი) მოხ. ამხ. **ვანციანი.**

5. სათრობი განყოფილება—შაბათს, 17 იანვარს, საღამოს 6 საათზე განყოფ. შენობაში (პუშკინის ქ. № 3) მომხ. ამხ. **ძაკრიშვილი.**

6. ქალაქის სასაკლაოები—17 იანვარს, საღამოს 4 საათზე. მომხ.—ამხ. **არაბეკოვი და ჟვანია.**

7. სახელმწ. დაზღვევა—19 იანვარს, საღამოს 7 საათზე სახ. დაზღვევის შენობაში (სოლოლაკის 8) მოხ. ამხ. **ბოგდანოვისა.**

8. მაკარონის ფაბრიკა—19 იანვარს. დღის 3 საათზე, მოხ. ამხ **სოხიანი.**

9. აღმშენებლები—21 იანვარს, საღამოს 6 საათზე, მათივე კლუბში (ლაზარევის ქ. 11) მომხ. ამხ. **პოლოსიანი.**

10. ტყავეულობის და ზეთისა და საპნის ტრესტები—21 იანვარს, დღის 1 საათზე, ტყავ. ტრესტის შენობაში. მომხ.—ამხ. **სტურუა ვანო და არაბეკოვი.**

11. ქალაქის საავადმყოფო—21 იანვარს, დღის 3 საათზე, არამიანცის საავადმყოფოში. მოხ.—ამხ. **ქაკარაკაია და ბოგდანოვი.**

12. სად. ნავთლუღი—22 იანვარს, საღამოს 4 საათზე, სადგურის კლუბში. მომხ. ამხ. **სტურუა ვანო.**

13. თურქ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება—20 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ნარიმანოვის სახ. კლუბში. მომხ.—ამხ. **ასულზადე.**

III

16—24 იანვარს შრომის ყველა სკოლებში ჩატარებულ უნდა იყვეს მოხსენება: „ცხოვრება და მოღვაწეობა ლენინისა". ამიტომ შაბათს, 17 იანვარს, სწორედ დღის 1 საათზე მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში მესდგება ინსტრუქტორული მოხსენება ამხ. ვართაპეტოვისა: „ცხოვრება და მოღვაწეობა ლენინისა". ეს მოხსენება დანიშნულია საგანგებოთ—სკოლის გამგეებისა და დელეგატებისთვის.

იგივე საკითხი ჩატარებულ უნდა იყვეს შრომის სკოლებში.

1. ქართველ ბავშვებისათვის შრომის სკოლა—20 იანვარს დღის 1 საათზე, ტეხნიკუმის შენობაში (პეტრე-პავლეს ქ. 16) მომხ.—ამხ. **კაკაჩია.**

2. სომხ. ბავშვებისათვის შრომის სკოლა—23 იანვარი, დღის 11 საათზე მუშათა თეატრში. მომხ.—ამხ. **ხანოიანი.**

3. მე-63-ე რუსული შრომის სკოლა—24 იანვარი, დღის 1 საათზე სკოლისავე შენობაში (კახეთის ქ. 51). მომხ.—ამხ. **პოლოსიანი.**

4. თურქ ბავშვების შრომის სკოლა—23 იანვარს, დღის 11 საათზე, ნარიმანოვის სახ. კლუბში. მომხ. ამხ. **ჯაფარლი.**

IV.

17 იანვარს უნდა მოხდეს გამგზავრება საშეფო კომისიებისა შეფობის ქვეშ აყვანილ სოფლებში.

სოფლებში კამპანიის ჩასატარებლათ გამოყოფილ არიან შემდეგი ამხანაგები:

1. ყარა-თაფაში—ამხ. **ალ. ლარიბოვი, ალაკპერ ალი-მამედ-ზადე.**
2. ალთაქლიაში—ამხ. **ომაროვი, გულამ მამედოვი.**
4. სოღანლუღში—ამხ. **ნარიმანოვი, ასკერი, მამედ-ალი-ზადე.**

V

მესამე რაიონის კლუბებში 21 და 22 იანვარს მოწყობილ იქნება მოსაგონარი საღამოები და სცენები.

VI.

24 იანვარს, მესამე რაიონის პარტკლუბის შენობაში მოწვეულია დელეგატთა კრება პარტიაში საზეიმო მიღებისათვის და კანდიდატების წევრებათ გადარიცხვისთვის.

VII.

პარტუჯრედების მდივნებმა კამპანიის ჩატარება უნდა შეუთანხმონ მათთან მიწერილ სამხედრო ორგანიზაციებს.

საგ.-საპროპ. განყოფილება.

— ქალაქის რაიკომი იუწყება: დღეს, 16 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში მოწვეულია მრეწველთა ბიუროს („კუსტას") კრება.

დღის წესრიგი: „პარტიის ბრძოლა ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ". მომხსენებელი ამხ. კარლკინი.

— თბილისის კომიტეტის აღრიცხავ-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ანტონ ვასილევს, ნიკოლოზ მატარაძეს და გიორგი ხორავას ხუთი დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის აღრიცხავ-განმანაწილებელ განყოფილებაში საორგანიზაციო განყოფილების მდივანთან.

— პარასკევს, 16 იანვარს საღამოს 4 საათზე. ქართულ მუშათა ფაკულტეტის ბინაზე შესდგება ქართულ მუშფაკის კომუჯრედის კრება

დასწრება სავალდებულოა ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის

— სახ. უნივერსიტეტის კომ უჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ ა | წ. 16 იანვარს, საღამოს ოთხ საათზე მოწვეულია კომ უჯრედის ღია კრება თვით უნივერსიტეტის შენობაში. დასწრება შეუძლია მსურველ უპარტიო სტუდენტობას. დღის წესრიგში დასმულია მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

კომ. უჯრედის ბიურო.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს პარტიული დისციპლინის წესით პარტიულ ამხანაგებს, რომლებიც მუშაობენ ქვემოდ ჩამოთვლილ დაწესებულებებში:

„ნოვტრესტტორგ"-ში, „იუვოკტორგ"-ში, ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში, კამვოლის ტრესტში, „მიასოტორგ"-ში, რომ ისინი მოიხსნან იმ რაიონების აღრიცხვიდან, რომლებშიაც მუშაობდენ და გადავიდენ ქალაქის რაიკომის აღრიცხვაზე.

კომუჯრედი 41 (რომლის დროებითი ბინა იმყოფება რეზინის ტრესტთან).

განცხადებები

გაუნელებელ მწუხარებაში მყოფნი შვილები: ლევანი, გიორგი (ქუთიშვილი), დავითი (დ. თურდოსპირელი), რძლები: მარიამი, ვასასი, ელენე—თავიანთი შვილებით და ძმისწულები: ვერა და ანნა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, იანვრის 18-ს, დღის 12 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად დაღუპულ პირველთა: უსაყვარლესი დედიკოსი, მეორეთა: ძვირფასი დედამთილის, მესამეთა: ტკბილი ბებიკოსი და მეოთხეთა: დაუვიწყარი მამიდის
სალომე ალექსანდრეს ასულის
ჩხეიძის
ნ. 658. 2—1

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 16 იანვარს
ოქროს მამალი
შაბათს, 17 იანვარს
კარმენ
ბარონკინას მონაწილეობით
ნ. № 633 5—3

სახელმწიფო დრამა
შაბათს, 17 იანვარს
შპიგელმენშ
კვირას, 18 იანვარს
სინათლე
ნ. 659 3—1

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(ლორის-მელიქოვის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას 18 იანვარს დილის 11 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადაგასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში.
ნ. 653. 1—1

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის
სამანუფაქტურო მაღაზია № 1
(კომინტერნის ქუჩა № 8)
1925 წლის იანვრის 15, 16, 17, 19 და 20
იაფად გაიყიდება
ქაღალდის, ტილოს, მატყლის და აბრეშუმის
ქსოვილების დიდძალი ნარჩენები
ფასების 15-დან 40 პროც.-მდე დაკლებით
საქონელი მიეყიდება ყველას
ნის. 662 1—1

საჯარო ვაჭრობა
ს. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი იწვევს მსურველებს მიიღონ მონაწილეობა ჯ. ს. კ. საავადმყოფოებისათვის დღეში 25—30 ფუთი პურის ერთი წლის ვადით გამოცხობის
საჯარო ვაჭრობაში
რომელიც დანიშნულია ა | წ. 30 იანვარს შუადღის 12 საათზე ჯ. ს. კომისარიატის საფინანსო სამეურნეო განყოფ. შენობაში საპიროვის ქ. № 30.
განცხადებები უნდა შემოტანილ იქმნან დაბეჭდილი კონვერტებში საფ. სამეურნეო განყოფილებაში ჩვენებით, რამდენ გირვანქა პურს იმატებს თითო ფუთ სხვადასხვა ხარისხის ფქვილზე. პურის გამოცხობით გამოწვეულ ხარჯების მოიჯარადრეებზე დაკისრებით.
განცხადებაზე უნდა დართული იქნეს ხაზინის ქვითარი მთელი წლიური იჯარის თანხიდან 10 პროც. საწინდრის სახით შეტანის შესახებ ან გირავნობის ფურცელი უფროს ნატარიუსიდან ქონების დაგირავების შესახებ.
იჯარის გაცემის დროს ჯანსახკომისარიატი იხელმძღვანელებს არა მარტო შეძლეულ მომატებით, არამედ სხვა მოსაზრებებითაც, რომლებიც შეეფერებიან ჯანსახკომისარიატის ინტერესებს.
ამის გარდა ჯანსახკომისარიატი იტოვებს უფლებას 30 იანვარს დღის 1 საათზე მოახდინოს განმეორებითი ზეპირი შეჯიბრება.
დაწვრილებითი კონდიციების ნახვა შეიძლება ყოველ დღე ჯ. ს. კ. საფ. სამეურნეო განყოფილებაში 1—2 საათამდე. ნ. 661 3—1

საფინბანი
ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ, რომ შემოსავალ-გასავლის სალაროში შემოღებულია 6 პროც.
სახელმწიფო მომგებიან სესხის ობლიგაციების
უფასოდ შენახვა და ამავე წესითვე იქვე მოეწყობა 5 პროც. საგლეხო
მომგებიან სესხის ობლიგაციების შენახვაც
საფინანსო განყოფილების გამგე გავაშელი.
ნის. 663 3—1

ს. ს. ს. რ.   ს. ს. ს. რ.
განათლების სახალხო კომისარიატის
საკანცელარიო ნივთების
განყოფილება
მთავარი კანტორა
და
საქონლის ცენტრალური საწყობი
პლეხანოვის პრ. № 57, ტელეფ. 20—54.
მაღაზია № 1
თავისუფლების მოედანი (ყოფილი ერევნის მოედანი) № 7, ტელ. 14—95.
მაღაზია № 2
კ. მარქსის მოედანი (ვორონცოვის ყოფ. მოედანი) № 3, ტელ. 3—00.
მუდმივათ იყიდება ბითუმათ და წვრილათ საწერი ქაღალდი და საკანცელიარიო ნივთები როგორც განათლების სახალხო კომისარიატის საკუთარ სახელოსნოს მიერ დამზადებული, ისე რუსეთის და საზღვარგარეთის სხვადასხვა ფირმების და ორგანიზაციების ნაწარმოები, რომლებიც შეძენილია უშუალოთ.
ფასები მეტად ხელმისაწვდომია
სახელმწიფო დაწესებულებებს, სამეურნეო ორგანოებს, კოოპერატივებს, განათლების განყოფილებებს და სხვა ორგანიზაციებს და გაერთიანებებს, ბითუმათ შესყიდვის დროს—შეღავათი.
დაკვეთის შესრულება ხდება დაუყოვნებლივ
სახელმწიფო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს შეკვეთის მისაცემათ შეუძლიათ მოითხოვონ სავაჭრო აგენტის გაგზავნა მთავარი კანტორიდან
№ ნ. 660 2—1   ტელეფონი № 20—54

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დასხივება
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ დაავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205. 25—12

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).
ავადმყოფების მიღება 9 დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების 2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.
25—1

ექიმი
გ. გ. მეგრაბიანცი
ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. [illegible] ქ. № 23.
2746 25—1

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონკე
ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან, ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.
ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.
პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.
№ 2969 25—10

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი: ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).
25—5

ექიმი
ო. ზანდუკელი
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობა
ელექტრონით წამლობა
მიღება საღ. 7—8 საათ.
ლენინის (ოლღას ქ № 49)
ტელეფ. 4—85
25—4

კერძო
გინეკოლოგიური და ქირურგიული
საავადმყოფო
ტერაპევტიული განყოფილებით
სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.
ამბულატორიული მიღება შენობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.
სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13
ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვის ტელეფონით № 7—14—4.
ნის 372—100—28

დავკარგე ვაჭრობის მოწმობა, ლევან ავალიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 103 1—1

დავკარგე ლომბარდის სამი კვიტანცია დაგირავებულ ნივთებისა და სხვადასხვა საბუთები ელენე იგივე ვეტია ქარსელაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 112 1—1

დავკარგე მე-2 სამილიციო უბ. ოლღას ქუჩიდან № 9, ტრამვაით მგზავრობის დროს რუსთაველის პროსპექტით ერევნის მოედნამდე თათრული სტილის ქალის ოქროს საათი, აღნიშნულია ზედ მთვარე ვარსკვლავი ძვირფასი თვლებით. მპოვნელს ვთხოვ, როგორც ჩემთვის ძვირფასი სახსოვარი ნივთი დამიბრუნოს შესაფერი ჯილდოს მიცემით. მისამართი: ბელინსკის ქუჩა № 2. ზახო შაიშვილს 110 1—1

დავკარგე მეტრიკული ამოწერილობა № 1745, დავით ბაბიჩოვის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად 109 1—1

დავკარგე მოწმობა № 955, მოცემული ქალ. თბილისის მტვირთველთა ბიუროსაგან აკაკი ყარამანის ძე მენკაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 10 1—1

დავკარგე რეგისტრაციის ქაღალდი ქ. თბილისის მე-10-ე რაიონიდან მოცემული კოწია გედევანის ძე ელბაქიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 101 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა და მეტრიკული მოწმობა ვერა დავითის ასული ფირცხალაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 103 1—1

დავკარგე ნასყიდობის აქტი ჩემ მიერ [illegible] არტილერიის ქუჩაზე მდებარე № 11 სახლისა მოქ. ალექსანდრე ივანეს ძე კალანტაროვისაგან 1918 წელში, ჩაითვალოს გაუქმებულად სოლომონ სპირიდონის ძე გორგოლიანი. 105 1—1

დავკარგე აღრიცხვის მოწმობა № 736, ერეკლე ლექსის ძე თავაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 106 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა ალექსანდრე ანდრიას ძე ბლიაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 107 1—1

დავკარგე დაზღვევის სალაროს წიგნაკი № 31329 დიომიდე ივანეს ძე ცინცაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 111 1—1

„ზარია ვოსტოკას" სტამბა სამი წულუკიძის ქუჩა № 4